ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ უნდა ჩვენი გაკვეთილი ვიცოდეთ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 209 (20955) — სამშაბათი, 11 სექტემბერი, 1990 წელი. — ფასი 3 კაპ.

უმაღლესი დონის შეხვედრა ყველასთვის მომგებიანია

მ. ს. გორბაჩოვისა და ჯ. ბუშის მოლაპარაკება

ჰელსინკი, 9 სექტემბერი. (საკუთარი სპეც. კორ.). დღეს ფინეთის დედაქალაქში გაიმართა სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. ბუშის შეხვედრა. მოლაპარაკების ძირითადი განიხილეს სპარსეთის ყურეში შექმნილი მდგომარეობა, იმავე საკითხზე სხვა საერთაშორისო პრობლემებზე, ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე.

...დღის 10 საათია. პრეზიდენტის სასახლესთან მ. ს. გორბაჩოვი და ჯ. ბუშს შეეგება ფინეთის პრეზიდენტი მაუნო კოივისტო. ორნალისტებითა, კინო- და ფოტოოსურვებით გარშემორტყმულმა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერებმა გამარავი ბლიცის ელვარების შუაში ერთმანეთის ხელი ჩამოართვეს. ბოლოცილლება გამოიწვია საბჭოთა მხატვრის მეგობრულმა შარჟმა, რომელიც მ. ს. გორბაჩოვმა ჯ. ბუშს გადასცა, ნახატზე ორი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელები გამოსახულნი არიან რიგზე გამოსულ მოკრივეებად. მსაჯი — დედამიწას ორივე მოკრივის მარჯვენაზე აღუმართავს იმის ნიშნად, რომ ორივემ გამარჯვება მოიპოვა. მათ ფეხთით გდია განგმირული ურჩხული — „ცივი ომი“, ნახატი სიმბოლურია, მართლაც, ჩვენი ქვეყნების ლიდერთა გაერთიანებული ძალისხმევის წყალობით ხომ მსოფლიო კიდევ უფრო უსაფრთხო გახდა. და ამით ყველამ მოიგო.

აი რატომ არის, რომ ეს შეხვედრაც უდიდეს ინტერესს იწვევს სხვადასხვა ქვეყანაში. ამას დამაჯერებლად მოწმობს საერთაშორისო პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დღევანდელი კომენტარი. ჩვენ მეღლვარედ მოველოდით ამ შეხვედრის შედეგებს, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება მსოფლიოს ბედისათვის.

„ჰელსინკში, — გამოთქვამს იმედს წამყვანი ფინური გაზეთი „ჰელსინგინ სანომატი“, — ვერ გადაწყდება ომის საკითხი. აქ საფუძველი ეყრება ახალ მშვიდობიან სტრუქტურას, რომელიც მიზად ისახავს კრიზისების გადაწყვეტასა და თავიდან აცილებს. ორი დიადი სახელმწიფოს ურთიერთობის თვისებრივად ახალი ხასიათის შესახებ წერს ამერიკული „ვაშინგტონ პოსტიც“: „ჯორჯ ბუში და მიხეილ გორბაჩოვი ერთმანეთს ადრეც შეხვედრიან. მაგრამ დღევანდელი უმაღლესი დონის მინი-შეხვედრა ყველაზე მკვეთრად განსხვავდება „ცივი ომის“ პერიოდისაგან, როდესაც მოსკოვი და ვაშინგტონი გარდაუვლად უპირისპირდებოდნენ ერმანეთს“. ხოლო ენ-ბი-სი ტელეკომპანიის კომენტატორი ამ თეზისს კიდევ უფრო მოკლედ აყალიბებს: „ძველი მეტოქეები ერთად მუშაობენ საერთო პრობლემებზე“.

პრეზიდენტთა სამუშაო გრაფიკით გათვალისწინებულია გადაუდებელი შინაპოლიტიკური საკითხები. საბჭოთა კავშირში მთავრდება მუშაობა ეკონომიკის გარდაქმნის პროგრამაზე, საბაზრო მექანიზმების სამოქმედოდ შემოღებაზე, შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს დისკუსიები საბიუჯეტო დეფიციტთან დაკავშირებით. და მაინც, ყველი ქვეყნისათვის აბსოლუტური პრიორიტეტია საერთაშორისო სტაბილურობა. რაოდენ გადატვირთულიც უნდა იყოს საშინაო პრობლემებით სახელმწიფოთა მეთაურების სამუშაო კვირა, საერთაშორისო ვითარებამ მოითხოვა სასწრაფოდ გამართულიყო ეს შეხვედრა ფინეთის დედაქალაქში.

სწორედ ამიტომ იყო, რომ დღეს პრეზიდენტის სასახლესთან დილიდანვე მორიგეობდა ასობით კაცი. შეხვედრის ორგანიზატორებმა იმსჯელეს მოლაპარაკების მოწყობის ადგილის რამდენიმე ვარიანტის თაობაზე, კერძოდ, განიხილავდნენ „ბაქოსკენ დიპლომატიაც“, — შეხვედრების მონაცვლეობას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სალეჩოებში. საკითხი გადაწყვიტა ფინეთის პრეზიდენტმა კოივისტომ, რომელმაც თავაზიანად დაუთმო სტუმრებს თავისი ოფიციალური რეზიდენცია.

საკვლისს კორესპონდენტებმა მოეფანზე შეკრებილ ჰელსინკის მცხოვრებთ სთხოვეს გამოეთქვათ თავიანთი დამოკიდებულება ამ მიმდინარე შეხვედრისადმი. ლაპარაკობს იორმა კრავეტი, ავტომაღაზიის გამყიდველი: „ერთერთი საკითხი, რომელსაც ახლა განიხილავენ პრეზიდენტის სასახლეში მიხეილ გორბაჩოვი და ჯორჯ ბუში, სპარსეთის ყურის რაიონში შექმნილი კრიზისული სიტუაციაა. მაგრამ, ჩემი აზრით, არანაკლებ მნიშვნელოვანია ევროპის გაერთიანების პროცესი. აგრეთვე ეკონომიკური პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას მოელიან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირში.

სურათზე: შეხვედრის დროს.

ვისურვებდი, რომ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებს მეღოთ გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას, როგორც ახლო აღმოსავლეთში, ისე ჩვენს კონტინენტზე. აგრეთვე მიმაჩნია, რომ ფინეთის პრეზიდენტმა მაუნო კოივისტომ, მოიწვია რა საპატიო სტუმრები შეხვედრაზე ჰელსინკში, ამით გამოხატა ყველა ფინელის და მათ შორის, ჩემი აზრი“.

ახალგაზრდა წყვილი — ვესა ლოკანენი და ბირგიტა სელონენი: „ჩვენ აქ მოვედით, რომ დავინახოთ პრეზიდენტები გორბაჩოვი და ბუში, — ხომ შეიძლება, პრეზიდენტის სასახლის აივანზე გამოვიდნენ. ძნელ პრობლემებს განიხილავენ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში წარმატებას ვუსურვებ შეხვედრას, მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება მისი შედეგი“.

„საშინელებაა, რომ ერთმა კაცმა — მე ვგულისხმობ ერაყის ხელმძღვანელს სადამ ჰუსეინს — შეიძლება საფრთხეში ჩააგდოს მშვიდობა მეღე რეგიონში,— თქვა პენსიონერმა აუნე პუუკუნენმა. — ერაყს ქუვეითი რომ არ დაეპყრო, ახლა მსოფლიოში მშვიდი სიტუაცია ისეგებოდა, ვინაიდან ჩვენს კონტინენტზე და საერთოდ პლანეტაზე ბოლო მოეღო გამალებულ შეიარაღებას. სულით და გულით ვუსურვებ უმაღლესი დონის შეხვედრის მონაწილეებს წარმატებას იმ საქმეში, რომ აგრესორი შეაჩერონ მშვიდობიანი გზით“.

ფინელ მოქალაქეთა აზრს ეხმიანება საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მიმართვეანი. მშვიდობის მსოფლიო საბჭო ორი ქვეყნის პრეზიდენტებისადმი მოწოდებაში გულისწყრომით გმობს ერაყის შეჭრას ქუვეითში და ამ დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრის ანექსიას. მშვიდობის მსოფლიო საბჭო მოითხოვს დაუყოვნებლივ გაიყვანოს ერაყმა ჯარები ქუვეითიდან, აღადგინოს მისი ტერიტორიული მთლიანობა, გაათავისუფლოს ყველა უცხოელი მოქალაქე, რომლებიც მძევლად ჰყავს აყვანილი ერაყსა და ქუვეითში.

მიმართვაში გამოთქმულია დიდი შეშფოთება იმის გამო, რომ სპარსეთის ყურის რაიონში უპრეცედენტოდ იზრდება ამერიკისა და სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების თავმოყრა. მშვიდობის მომხრეთა მოძრაობა ვერავითარ პირობებში ვერ შეურიგდება ახალ სამხედრო აგრესიას, ხაზგასმულია მიმართვაში. ყველა არსებული დავა უნდა წყდებოდეს მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით. აბსოლუტური უპირატესობა უნდა მიენიჭოს მოლაპარაკებასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპების დაცვას.

ორი ლიდერის მოლაპარაკების პირველი შედეგები გააცნეს ჟურნალისტებს გაერთიანებულ ბრიფინგზე სსრ კავშირის პრეზიდენტის თანაშემწემ, თეთრი სახლის პრესმდივანმა მ. ფიცუოტერმა. საბჭოთა წარმომადგენელმა თქვა, რომ მოლაპარაკების პირველმა რაუნდმა, რომელიც პრეზიდენტებმა პირისპირ გამართეს, 2 საათსა და 50 წუთს გასტანა. მისმა ამერიკელმა კოლეგამ ხაზი გაუსვა, რომ პრეზიდენტებს ჰქონდათ კარგი შეხვედრა, რომელიც თითქმის მთლიანად მიეძღვნა სპარსეთის ყურის რაიონში შექმნილ სიტუაციას. ჩვენ ერთსულოვანნი ვართ: საბჭოთა კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ძალზე სერიოზულად ეკიდებიან ამ რეგიონში შექმნილ ვითარებას. ჯ. ბუშმა და მ. ს. გორბაჩოვმა განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაბამისი რეზოლუციები და განზრახული აქვთ ერთად იღვაწონ მათი სრული განხორციელებისათვის. ვ. ნ. იგნატენკოს თქმით, მხოლოდ მშვიდობიანი გადაწყვეტილებების შესახებ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ერთობლივ პრესკონფერენციაზე, რომელიც სალამოს გაიმართა. პრესკონფერენციის ანგარიში გაზეთებში გამოქვეყნდება. მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ მიღებულ ერთობლივი განცხადება.

ამავე საღამოს მ. ს. გორბაჩოვი სამშობლოში გამოემგზავრა. მასთან ერთად გამოემგზავრნენ აგრეთვე პრეზიდენტის საბჭოს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე და პრეზიდენტის საბჭოს წევრი ე. მ. პრიმაკოვი. ჰელსინკი — ვანტაას საერთაშორისო აეროპორტში ისინი გამოიცალეს მ. კოივისტომ, ფინეთის რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებმა.

ქუვეითში ერაყის შეჭრისა და მისი სამხედრო ოკუპაციის გამო პრეზიდენტმა მ. ს. გორბაჩოვმა და პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა გააკეთეს შემდეგი ერთობლივი განცხადება:

ჩვენ გამოვთქვამთ ერთსულოვან რწმენას, რომ ერაყის აგრესიას ვერ შეეურიგდებით. ვერ იქნება ვერავითარი მშვიდობიანი საერთაშორისო წესრიგი, თუ უფრო დიდი სახელმწიფოები შეძლებენ შთანთქან თავიანთი მცირე მეზობლები.

ჩვენ ვადასტურებთ ჩვენი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ა. წ. 3 აგვისტოს ერთობლივ განცხადებას, აგრეთვე ჩვენს მხარდაჭერას უშიშროების საბჭოს 660, 661, 662, 663, 664 და 665 რეზოლუციებისადმი. დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ მივმართავთ მოწოდებით ერაყს, მთავრობას ყოველგვარი პირობის წამოუყენებლად გაეცალოს ქუვეითს, მისცეს შესაძლებლობა ქვეყანას აღადგინოს ქუვეითის კანონიერი მთავრობა, და გათავისუფლოს ყველა მძევალი, რომლებიც ახლა ერაყსა და ქუვეითში ჰყავთ.

ერთადერთი მისაღები გზაა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციათა სრული მოცულობით განხორციელება.

ერთადერთი, რამაც შეიძლება მოუღოს ბოლო ერაყის იზოლაციას, — ეს არის ქუვეითის ა. წ. 2 აგვისტომდე არსებული სტატუსის აღდგენა.

ჩვენ მოვუწოდებთ მთელ მსოფლიო გაერთიანებას დაიცვან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემოღებული სანქციები, და ვაცხადებთ, რომ ვიღვაწებთ, ინდივიდუალურად და ერთად, რათა უზრუნველყოთ სანქციების სრული მოცულობით დაცვა.

ამავე დროს საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ცნობენ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 661-ე რეზოლუცია ჰუმანიტარული მოსაზრებებით ნებადართულად ცნობს ერაყსა და ქუვეითში სურსათის ექსპორტს. სანქციების კომიტეტი უშიშროების საბჭოს მისცეს რეკომენდაციას იმის თაობაზე, თუ რა უნდა იგულისხმებოდეს ჰუმანიტარულ მოსაზრებებად. შემდეგ, საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები თანახმანი არიან, რომ ყოველგვარი ასეთი ექსპორტი უნდა ხორციელდებოდეს შესაბამისი საერთაშორისო ინსტიტუტების კონტროლით, რათა უზრუნველყონ სურსათის მიღება მხოლოდ და მხოლოდ დანიშნულებისამებრ. ამასთან განსაკუთრებული პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

ჩვენ ვამჯობინებთ კრიზისის მშვიდობიან მოწესრიგებას და დავადგებით ერთიან პოზიციას ერაყის აგრესიის მიმართ. ამავე დროს ჩვენ მტკიცედ ვვაქვს გადაწყვეტილი მივაწოთ აგრესიის შეწყვეტას, და თუ ახლანდელი ღონისძიებები ამას ვერ მოტანს, მზად ვართ განვიხილოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების შესაბამისად დამატებითი ნაბიჯების შესაძლებლობა. ჩვენ უაღრესად დამაჯერებლად უნდა ცხადყოთ, რომ აგრესია ვერ მოტანს და არ მოტანს სარგებელს.

პრეზიდენტები, როგორც კი მიაღწევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს აღნიშნულ რეზოლუციებში დასახულ მიზნებს, მისცემენ მინისტრებს მითითებას თანამიმქმედონ რეგიონის ქვეყნებთან და მის ფარგლებს გარეთ უშიშროების რეგიონული სტრუქტურების შეაქმნელად და მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობის ღონისძიებათა შესამუშავებლად. საჭიროა აქტიურად ვიმუშაოთ ახლო აღმოსავლეთსა და სპარსეთის ყურეში ყველა დანარჩენი კონფლიქტის მოსაგვარებლად. ორივე მხარე განაგრძობს ერთურთთთან კონსულტირებას და წამოაყენებს ღონისძიებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ამ უფრო ფართო მიზნების მიღწევას სათანადო დროს.

მ. ს. გორბაჩოვი მოსკოვს დაბრუნდა

სსრ კავშირის პრეზიდენტი მ. ს. გორბაჩოვი 9 სექტემბერს მოსკოვს დაბრუნდა ჰელსინკიდან, სადაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ჯ. ბუშს შეხვდა.

ვნუკოვოს აეროპორტში მ. ს. გორბაჩოვს დაზვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ი. რიჟკოვი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ა. ი. ლუკიანოვი, სსრ კავშირის პრეზიდენტის საბჭოს წევრები, სხვა ოფიციალური პირნი.

მ. ს. გორბაჩოვთან ერთად დაბრუნდნენ პრეზიდენტის საბჭოს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. ა. შევარდნაძე, პრეზიდენტის საბჭოს წევრი ე. მ. პრიმაკოვი. (საკძესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრესცენტრისაგან

9 სექტემბერს გაიმართა წინასაარჩევნო კომპანიის ჩატარების საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო კომიტეტის სხდომა, რომლის მუშაობაზე, მისი წევრების გარდა, მონაწილეობდნენ პარტიული კომიტეტების მდივნები, საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები.

სამუშაო ჯგუფების ხელმძღვანელთა ინფორმაციებში აღნიშნული იქნა იმის თაობაზე, თუ როგორ ემზადებიან პარტიული კომიტეტები, პირველადი პარტორგანიზაციები არჩევნებისათვის, როგორ ეხმიანებიან პირველად ჩატარდება მრავალპარტიულ, დემოკრატიულ საფუძველზე. მიმდინარეობს საქართველოს კომპარტიის სიით წარსადგენ დეპუტატობის კანდიდატთა დასახელება. პირველადი პარტორგანიზაციები რეკომენდაციას უწევენ რესპუბლიკის ღირსეულ მოქალაქეებს, მათ შორის ჭარტიოებსაც — იურისტებსა და ეკონომისტებს, პოლიტოლოგებს, სამეცნიერო და შემოქმედებითი ინტელიგენციის, შუშათა კლასისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებთაც ძალუძთ ღირსეულად დაიცვან მომავალ პარლამენტში რესპუბლიკის სასიცოცხლო ინტერესები, ხელი შეუწყონ საქართველოს რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მიღწევას, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღდგენას, სამართლებრივი, დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებას. ყურადღება გამახვილდა საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამის ძირითადი საკითხებზეც, რომელმაც პარტიის პროგრამასა და ეროვნული განვითარების კონცეფციასთან ერთად ნათლად უნდა წარმოაჩინოს საქართველოს კომპარტია, როგორც თვისებრივად განახლებული და ეროვნულ ნიადაგზე მკვიდრად მდგომი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც კიდევ უფრო მეტი წვლილი უნდა შეიტანოს ეროვნულ მოძრაობაში, უნდა დასახოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროს ძირეული განახლების პროცესის შემდგომი კონკრეტული გზები.

სხდომაზე აღინიშნა პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტორგანიზაციების, ყოველი კომუნისტის შტაბი პოზიციის, მობილიზებისა და გაააქტიურების შესახებ წინასაარჩევნო პერიოდში. ითქვა იმის თაობაზეც, რომ, ერთი მხრივ, არ შეიძლება ზოგიერთი პოლიტიკურ ოპონენტ ორგანიზაციასთან იყო ეფექტიანი მიუღებელი, მით უმეტეს ოლეთიკური მეთოდებით ბრძოლა, როგორსაც ისინი მიმართავენ კომპარტიის წინააღმდეგ, ოპონენტებთან ურთიერთობა მხოლოდ ცივილიზებული საზოგადოების მშენებლობას მისი პროგრამა, ეროვნული განვითარების კონცეფცია, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზაზე გადადგმული კონკრეტული ნაბიჯები, საპარლამენტო ინიციატივები და კადაწყვეტილებები, საზოგადოებრივ ასპარეზზე ამოსულ ახალ პოლიტიკურ ძალებთან კონსტრუქციული თანამშრომლობა მკვიდრ საფუძველს უქმნიან რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური სუვერენიტეტის მოპოვებას, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას.

იმათ, ვინც ცდილობს შეურიგებელი დაპირისპირების ატმოსფერო შექმნას, უნდა ახსოვდეს, რომ საქმე შეეხება ჩვენი პარტიის დღევანდელ წევრებს, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას საერთო არაფერი აქვს წარსულის მძიმე ტვირთთან და რომლებიც, თუ მათი ოჯახების წევრებსაც გავითვალისწინებთ, ერის დიდ ნაწილს შეადგენენ.

რაც შეეხება დღევანდელ სიმახინჯეებს, მათგან, სამწუხაროდ, თავისუფალი და დაზღვეული როდია საზოგადოების ნებისმიერი ფენა. როცა სხვა პარტიებს ვაკრიტიკებთ, უნდა გვყოს იმის აღიარების გამბედაობაც, რომ უზნეობისა და სხვადასხვა სიმახინჯის გამოვლინებები, ჩვენდა სავალალოდ, ახლად ჩამოყალიბებული ბევრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციისთვისაც როდია უცხო ხილი.

საქართველოს კომპარტიას განსაკუთრებულ დაუნდობლობით უტევს იმ პირთა ნაწილი, ვინც გუშინ სწორედ ამ პარტიის წევრი იყო და ამჟამად მის უკვე არარსებულ ნომენკლატურასაც შეადგენდნენ. საინტერესოა, როგორ მოასწრეს ასე მალე „განწმენდა“ იმისაგან, რასაც დღეს ბრალად სდებენ პარტიას და მის წევრებს?!

ახლა გადაბრალებ-გადმობრალების და ანგარიშსწორების დრო არ არის. ასეთი რამ არ ეკადრება ჩვენს ხალხს, ისტორიას, ტრადიციებს.

ყველა ნაკლსა და სიმახინჯეს ერთად უნდა ვებრძოლოთ, არა ერთმანეთთან დაპირისპირებით, მით უმეტეს — უზნეო და არაეთიკური ფორმებით, არამედ თანადგომითა და კონსტრუქციული თანამშრომლობით. ერის წინაშე მისი მთლიანობის შენარჩუნებისათვის პასუხისმგებლობის უმაღლესი გრძნობით უნდა ვიბრძოლოთ საქართველოს ბედნიერი მომავლისთვის. არჩევანი კი ხალხმა გააკეთოს, მან განსაჯოს ყოველივე.

სწორედ ამიტომ მოვუწოდებთ საქართველოს კომუნისტებს, რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს წინასაარჩევნო პერიოდში და თვით არჩევნების დროს გამოიჩინონ მაქსიმალური პასუხისმგებლობა, სიბრძნე და ორგანიზებულობა, რათა ჩვენი ერისათვის ეს უმნიშვნელოვანესი მოვლენა — პარლამენტის არჩევნები სიმშვიდის, ყველა ჯანსაღ ძალას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობისა და უპირველესად საქართველოს ხვალინდელი დღისთვის მამულიშვილური ზრუნვის ვითარებაში ჩატარდეს.

ყველას უნდა სწამდეს, რომ თვისებრივად განახლებულ, დამოუკიდებელ საქართველოს კომპარტიას, ვინც არ უნდა შეეცადოს, ვერავინ ჩამოაცილებს ჭეშმარიტი ეროვნული მიზნების სამსახურს, რადგან, გაიხადა რა თავის უზენაეს მიზნად საკაცობრიო და ეროვნული იდეალების დამკვიდრება, მან უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები ამ მიმართულებით.

დღევანდელ საქართველოს კომპარტიას მთელ საზოგადოებასთან, საქართველოს მომავლით ჭეშმარიტად დაინტერესებულ ყველა პროგრესულ ძალასთან ერთად ძალუძს კვლავაც შეიტანოს ღირსეული წვლილი ეროვნულ აღმავლობაში, ეროვნული და ერთაშორისი თანხმობის უზრუნველყოფაში, ქართველი, აფხაზი, ოსი, რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის წარმომადგენელთა ინტერესების თანხმობასა და კონსოლიდაციაში.

გამოვთქვამთ რწმენას, რომ საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა, რომელიც უახლოეს ხანს გამოქვეყნდება, მკაფიოდ წარმოაჩენს მის დღევანდელ და სამომავლო მიზნებსა და ამოცანებს.

იმედი გვაქვს, საქართველოს მოსახლეობა ამ გარდამტეხ პერიოდში გამოიჩენს მაქსიმალურ პასუხისმგებლობას, დადგება პიროვნულ მოტივებზე, პარტიულ უთანხმოებებსა და სხვა ფაქტორებზე უფრო მაღლა და ამით ხელს შეუწყობს საქართველოს ნათელი მომავლის შენებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ 8 სექტემბერს გვინდა ლამით ცენტრალური კომიტეტის შენობის წინ მდებარე ლენინის ქანდაკების დაზიანება და შეურაცხყოფა, რასაც წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის ბლოკირება, მისი აბრის დამსხვრევა და შიგ შეღწევის ცდები, სხვა არაფერია, თუ არა ვანდალიზმისა და პროვოკაციის მორიგი აქტი, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკისთვის, მისი ხალხისათვის ყველაზე პასუხსაგებ მომენტში — წინასაარჩევნო კამპანიის დროს, შეიქმნას კონფრონტაციისა და დესტაბილიზაციის ატმოსფერო. ეს და სხვა ამგვარი კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები, რომლებიც აშკარად ბოროტებრივ ხასიათისაა, არ შეიძლება აღშფოთებას არ იწვევდეს, რადგან მათ არაფერი აქვთ საერთო დემოკრატიზაციასთან და მოვლენათა მხოლოდ საშიშ განვითარებას უწყობენ ხელს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გადაჭრით გმობს პოლიტიკური ცხოვრებისათვის ყოვლად მიუღებელ ასეთ მოქმედებებს და აცხადებს, რომ ამგვარი დესტრუქციული აქციებისათვის მთელი პასუხისმგებლობა მის ორგანიზატორებს ეკისრებათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისადმი

საარჩევნო კანონის მიღების შემდეგ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება ახალ, დაძაბულ ფაზაში შევიდა. 70 წლის განმავლობაში პირველად ეწყობა მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები. არჩევნებში გამარჯვების მოსაპოვებლად ოცდათუმეტი პარტია და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია იბრძვის. უნდა ავირჩიოთ ჭეშმარიტად სახალხო პარლამენტი, რომელიც დიდმნიშვნელოვან ნაბიჯებს გადადგამს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღსადგენად, ჰუმანური, დემოკრატიული, სამართლებრივი საზოგადოების ასაშენებლად.

არჩევნების მონაწილე ყველა პოლიტიკური ძალა აცხადებს, რომ საქართველოს, ჩვენი ხალხის კეთილდღეობას ესწრაფვის. სწორედ ამიტომ, სრულიად საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები უნდა განსაზღვრავდეს მთელ ჩვენს მოქმედებას, ყოველ ჩვენს ნაბიჯს. სწორედ ამ უპირველესმა მოზანმა უნდა შეასრულოს მაკონსოლიდირებელი როლი, ეს მიზანი უნდა გახდეს ეროვნული თანხმობის საფუძველი, გამორიცხოს ძალადობა, კონფრონტაცია, ცივილიზებული საზოგადოებისათვის მიუღებელი პოლიტიკური ბრძოლისა და დაპირისპირების ფაქტები, რომელთა უადრესად შემაშფოთებელი მაგალითები კვლავაც შეინიშნება როგორც დედაქალაქში, ისე რესპუბლიკის ბევრ სხვა რეგიონში.

არჩევნების შედეგებს უდიდესი ინტერესით მთელის საქართველოს მთელი მოსახლეობა. დიდი ყურადღებით ადევნებენ თვალს საარჩევნო კამპანიას სხვა რესპუბლიკებშიც, საზღვარგარეთის ქვეყნებში.

ეს არსებითად აძლიერებს არჩევნების მონაწილე ყველა პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, მათი წევრების, ყოველი ჩვენგანის მოქალაქეობრივ და ეროვნულ პასუხისმგებლობას. წინასაარჩევნო კამპანია და თვით არჩევნებიც ზედმიწევნით დემოკრატიულ, მშვიდ, კონსტრუქციულ ვითარებაში უნდა ჩატარდეს, ერთობლივად უნდა შეგვქმნათ ყველა პირობა, რათა ხალხმა თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება, დემოკრატიულად აირჩიოს უზენაესი საბჭო.

დღეს, როცა მთელი საქართველო, მისი ყველა პოლიტიკური ძალა ისტორიული გამოცდისა და გარდატეხის კარიბჭესთან დგას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ გაიმართოს არჩევნების მონაწილე პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების წარმომადგენლთა შეხვედრა პარიტეტულ საწყისებზე, შემოუშვდეს და გაკეთდეს ერთობლივი განცხადება იმის თაობაზე, რომ ყველა მათგანი პარტიულ-პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური თუ სხვა შეხედულებების მიუხედავად კისრულობს სრულ პასუხისმგებლობას და იძლევა გარანტიას განუხრელად ხელმძღვანელობდეს სრულიად საქართველოს უზენაესი ინტერესებით, ყოველმხრივ უწყობდეს ხელს წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების დემოკრატიულ, თავისუფალ, მშვიდ ვითარებაში ჩატარებას.

ეს მით უფრო აუცილებელია, რომ, როგორც აღინიშნა, აშკარად გამოიკვეთა მთლიანად ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის მეტად სახიფათო ტენდენციები.

ვიმედოვნებთ, რომ ამ მიმართვას მხარს დუჭერენ საქართველოს პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები, მთელი საზოგადოებრიობა.

ძეგლი დემონტირებულია

9 სექტემბერს თბილისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობასთან დემონტირებული იყო ვ. ი. ლენინის ძეგლი. როგორც თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმში გვაცნობეს, ეს გაკეთდა ქალაქის შესაბამისი ტექნიკური სამსახურების ძალებით საზოგადოებრიობის ჯგუფებისა და ახალგაზრდობის დაჟინებული მოთხოვნით.

რამდენადაც ამავე დროს მოხდა აქ შეკრებილი ადამიანთა მხრივ ძეგლის დაზიანების ფაქტები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ამის გამო გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელიც ქვეყნდება რესპუბლიკურ პრესაში. (საინფორმ).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა

პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისადმი

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თვისებრივი განახლებისა და დემოკრატიზაციის გაღრმავების გზაზე კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბოლო სესიამ მიიღო საარჩევნო კანონი, რომელიც პირველად ქმნის მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების რეალურ საფუძველს. ახალმა პარლამენტმა უნდა გადაწყვიტოს საქართველოსათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური საკითხები, მიაღწიოს რეალური სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენას და დამკვიდრებას, შექმნას მართვის თანამედროვე სტრუქტურები და ინსტიტუტები.

ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ხელოვნური დაჩქარება, ობიექტურ რეალობათა უგულებელყოფა პროგრესის შემაფერხებელი მიზეზები ხდება. წარსულში დამკვიდრებული ეს უარყოფითი ტენდენცია, სამწუხაროდ, მეტნაკლებად დღესაც ინარჩუნებს ძალას, რაც ვლინდება კონსერვატიული, გამთიშველი, არაკონსტრუქციული ძალების მოქმედებით. აშკარად ჩანს, რომ არცთუ ისე იშვიათად ხალხის ნების პრიორიტეტულობას ზოგიერთი პოლიტიკური ძალის დაპირისპირება და ამბიციები, პოლიტიკური მხსნელის პრეტენზიები ჩრდილავს. უკანა პლანზე იწევს მთავარი პოლიტიკური და ზნეობრივი პრინციპი — პროგრესის მამოძრავებელი ძალაა არა ერთმანეთთან ბრძოლა, არამედ ბრძოლა საერთო, უზენაესი მიზნისათვის.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების, მთელი ჩვენი ცხოვრების ძირეული, თვისებრივი განახლებისთვის საჭიროა მშვიდი ვითარება, ნესრიგისა და დისციპლინის განმტკიცება, ნორმალური შრომითი რიტმი, და, რასაკვირველია, განსაკუთრებით აუცილებელია, ყველა პოლიტიკურმა ძალამ გამოიჩინოს მაქსიმალური პასუხისმგებლობა, ყველაფერზე მაღლა დააყენოს ჩვენი ხალხის, სრულიად საქართველოს ინტერესები, არ დაუშვას კონფრონტაცია და საზოგადოებრივ-პოლიტი

პრესაში საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულია „საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციული და სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების“ პროექტი.

როგორია განსახილველი დოკუმენტის მიმართ ჩემი, როგორც სკკპ წევრის და საქართველოს კომპარტიის XXVIII ყრილობის დელეგატის, დამოკიდებულება? სანამ დასმულ კითხვას ვუპასუხებდე, აუცილებელია გავარკვიო, რას ნიშნავს „საქართველოს კომუნისტური პარტია“, როგორია მისი სტატუსი.

ჩემი პირადი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი ალბათ ორიგინალობით არ გამოირჩევა. მე ისევე, როგორც საქართველოში მცხოვრები სკკპ წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა, იმ პოზიციაზე ვდგავარ, რომ საქართველოს კომუნისტური პარტია უნდა ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად და მის მიმართ არ უნდა ვრეცლდებოდეს სხვა ნებისმიერი პარტიის (ბუნებრივია, სკკპ-ს ჩათვლით) საპროგრამო და საწესდებო დოკუმენტები. ამ პოზიციას მთლიანად იზიარებს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის პირველადი პარტიული ორგანიზაცია და პარტიის მთაწმინდის რაიონის პარტიული კონფერენცია, რომელმაც ამირჩია ყრილობის დელეგატად. აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, შევეცდები გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება განსახილველი დოკუმენტისადმი.

„ძირითადი საპროგრამო დებულებების“ პროექტის პირველ მუხლში ნათქვამია, რომ „საქართველოს კომუნისტური პარტია საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა“. მიუხედავად ამისა, დოკუმენტის ტექსტის ზოგიერთი ნაწილი ჩემში მაინც ტოვებს უკმაოსობის გრძნობას. ძირითადად მხედველობაში მაქვს პრეამბულის ის ადგილი, სადაც მითითებულია, რომ „იგი (იგულისხმება საქართველოს კომუნისტური პარტია თ. კ.) გადაჭრით უარყოფს **ცენტრალური ორგანოების** (ხაზი ჩემია თ. კ.) ყოველგვარ დიქტატს, გადაწყვეტილების თავისმაწვევას, რომელიც არ შეესაბამება რესპუბლიკის ინტერესებს...“. მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პარტია უარყოფს მხოლოდ დიქტატს, ხოლო თვით **ცენტრალურ ორგანოებს** კი აღიარებს და სცნობს. დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციისათვის არაავითარი სხვა **ცენტრალური ორგანოები** არ უნდა არსებობდნენ. ასევე უადგილოდ მიმაჩნია „დებულებების“ პროექტის შენიშვნაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანის მოთხოვნა. ის მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ საქართველოს კომპარტია რაღაცა ფორმით დარჩება სკკპ-ს შემადგენლობაში, იქნება მისი სტრუქტურული ერთეული, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ის უკვე აღარ იქნება **დამოუკიდებელი** პოლიტიკური ორგანიზაცია.

ძირითადი საპროგრამო დებულებების პირველ მუხლში ჩამოყალიბებულია საქართველოს კომპარტიის მიზანი „ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების შექმნა“. პირადად ჩემთვის ეს დებულება ძალზე მისაღები იქნებოდა, რომ არა ერთი ფარემოება: პარტია, როგორც ვიცით, საერთო იდეირგვლივ გაერთიანებულ ადამიანთა ერთობაა. „ჰუმანური, დემოკრატიული საზოგადოების შექმნის“ იდეა კი შე მგონი დღეს საქართველოში ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის პროგრამაშია გათვალისწინებული. მაშ, რითი განსხვავდება მომავალი საქართველოს კომპარტია ჩვენში ასე მომრავლებულ სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან? რაში მდგომარეობს საქართველოს კომპარტიის „კომუნისტურობა“? თუ უარს ვამბობთ უკვე ფაქტობრივად უტოპიად აღიარებულ კომუნისტურ იდეაზე. მაშინ პარტიის სახელწოდებაც შესაბამისად უნდა შევცვალოთ. პარტიის სახელწოდება მასში ჩაქსოვილ იდეას უნდა ეფუძნებოდეს, ხოლო იდეა უნდა იყოს ნათელი, კონკრეტული და პოლიტიკურად გამართლებული. განსახილველ დოკუმენტში პარტიის მიზნის ფორმულირება ამიტომაც არის ძალზე ბუნდოვანი და არაფრისმთქმელი, რომ ვერ განმარტავს კომუნისტური იდეის „შეუთავსებლობას თანამედროვეობასთან; როგორც ჩანს, პარტიის სახელწოდების შეცვლისაც გვეშინია.

„დებულების“ მესამე მუხლში საქართველოს კომუნისტური პარტიის იდეურ-თეორიულ საფუძვლად **„დემოკრატიული სოციალიზმის“** შესახებ განაზლებადი მეცნიერული შეხედულებებია აღიარებული: მე მგონი, ეს უკანასკნელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ისეთი პარტია უკვე არსებობს საქართველოში) და არა კომუნისტური პარტიის „იდეურ-თეორიული საფუძველი“ უნდა იყოს. როგორც ვიცით, კომუნისტური (იგივე ბოლშევიკური) იდეა კარგა ხანია გაბმულა სოციალ-დემოკრატიულ იდეას. საქართველოს თანამედროვე სოციალ-დემოკრატების განცხადებით (ეს განცხადება ჯერჯერობით არავის არ უარუყვია) ბოლშევიკები სოციალ-დემოკრატების ექსტრემისტული ფრთის წარმოადგენდნენ. ეხლა რა ვაღიაროთ: სოციალ-დემოკრატიული თეორიის მიმდევრობა და ექსტრემისტული პოზიციები? ასე ფონს ვერ გავალთ. ყველაფერს, მათ შორის პარტიასაც, თავისი სახელი უნდა დაეჩქვას. ყრილობის ერთმა დელეგატმა, ცნობილმა პიროვნებამ, „სახალხო პარტიის“ სახელწოდება შემოგვთავაზა. ვფიქრობთ, იქნებ მისაღებიც იყოს.

ძირითადი საპროგრამო დებულებების მეორე მუხლში საქართველოს კომუნისტური პარტიის მიზნის მიღწევის შესახებ საუბარია. ეს ალბათ ერთადერთი ადგილია, სადაც კონტროლის სრულყოფილი სისტემა არ მოქმედებდეს. საერთო დამახასიათებელი არის ის, რომ კონტროლი უმთავრესად არის საპარლამენტო; ფუნქციებიდან ერთ-ერთია სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების, ამ პროგრამებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის, ამ სახსრების გამოყენების ეფექტიანობის კონტროლი; მკაცრი კონტროლის სისტემა არსებობს მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფო და ეკრძო საკუთრების, საკუთრების სხვა ფორმების თანაფარდობა, რამეთუ სისტემატური და სისტემური კონტროლი სჭირდება როგორც სახელმწიფო სექტორს, რაც ნებისმიერ ქვეყანას აქვს, ისე ბაზრის სფეროს.

ახლა კი მოკლედ, თუ როგორია ეს სტრუქტურა ცალკეულ ქვეყნებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესთან შექმნილია კონტროლის მთავარი სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური კონტროლიორი. სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია დაკისრებული აქვს პრეზიდენტთან არსებულ ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს, რომლის ინსპექტორებიც ცალკეულ ფედერალურ სამსახურებზე არიან მიმაგრებულნი და პრეზიდენტის პირადმდგომარეობა, ეროვნული სარეზერვო ბანკი, ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთ მოვრწყავთ

თუ წყალთა მეურნეობის საწარმოო სამმართველოებს სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანთ

საწარმოთა სამეურნეო ანგარიში მეურნეობის გაძღოლის მეთოდია, რომლის არსეც ის არის, რომ თითოეული საწარმო ფულადი ფორმით ზომავს წარმოების ხარჯებს და თავისი სამეურნეო საქმიანობის შედეგებს. პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული ფულადი შემოსავლებიდან ფარავს თავის ხარჯებს და უზრუნველყოფს წარმოების რენტაბელობას. სახელმწიფო საწარმოებში, რომლებიც საერთო-სახალხო საკუთრებას წარმოადგენენ, სამეურნეო ანგარიშის ორგანიზაცია დაფუძნებულია მისი ძირითადი პრინციპების გამოყენებაზე.

უმნიშვნელოვანეს საწარმოთა რიცხვს მიეკუთვნება წყალთა მეურნეობის სარწყავი სისტემის საწარმოო სამმართველო, რომელიც თავისი სამეურნეო საქმიანობის ხასიათით სახელმწიფო სამეურნეო ორგანიზაციაა, მაგრამ, დღემდე იგი გადაყვანილი არ არის სამეურნეო ანგარიშზე. წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველო არის საწარმო, რომელიც საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, სახელმწიფო მეურნეობებს და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის გაერთიანებებს უფასოდ აძლევს თავის პროდუქციას — სარწყავ წყალს. სარწყავი წყალი კი თავის მხრივ, წარმოების საშუალებაა და მისი უყოფითობა გამოყენება წრმოების პროცესში იწვევს სოფლის მეურნეობაში მთავარი და ძირითადი წარმოების საშუალების — სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუარესებას, რაც მათი დაჭაობებით, დამლაშებით და ირიგაციული ეროზიით გამოიხატება.

სსრ კავშირში წყალთა მეურნეობის სარწყავი სისტემების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საკითხი მრავალჯერ დაისვა. 1931 წელს შეადგინეს პროექტები მურგაბის (თურქმენეთის სსრ), მშიერი ველის (უზბეკეთის სსრ და ყაზახეთის სსრ), პატარა სარდარაბადსკის (სომხეთის სსრ), სალიანსკის (აზერბაიჯანის სსრ), ყარაიაზის — გარდაბანის (საქართველოს სსრ) და სხვა სარწყავი სისტემების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის შესახებ. მაგრამ სამეურნეო ანგარიშის დანერგვა ხდებოდა განსაზღვრული გეგმის გარეშე, რომელსაც სისტემატურად ხელმძღვანელობას უწევდა წყალთა მეურნეობის ორგანეები. აქედან გამომდინარე სარწყავი სისტემების სამეურნეო ანგარიშზე ყოფნის ცდა ყოველთვის ხანმოკლე იყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, მიღებული შედეგები მოწმობენ სამეურნეო ანგარიშის დიდ ეფექტიანობას. ამასთან, 1949 წლიდან 1957 წლამდე, არსებობდა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და წყალმოსარგებლე სხვა ორგანიზაციებისათვის სახელმწიფო სარწყავი სისტემებით მოწოდებულ წყალზე ფულადი გადასახადი, რაც შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამეურნეო ანგარიშის დანერგვის ცდა.

უნდა აღინიშნოს, რომ წყალზე ფულადი გადასახადი უდაოდ ხელს უწყობდა სარწყავი სისტემების ექსპლოატაციის მდგომარეობის გაუმჯობესებას, სარწყავი წყლის რაციონალურ გამოყენებას, მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესებას, მიწის ფართობისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ზრდის საქმეს. მაგრამ, მაშინ არსებული პრინციპიული წყალსაზომი ხელსაწყოებით შესაძლებელი არ იყო წყლის საჭიროებისაშებრ აღრიცხვა, რაც სარწყავი სისტემის სამმართველოებსა და წყალმოსარგებელი მეურნეობებს შორის გაუთავებელ დავას იწვევდა. ამის გამო ბევრგან სარწყავ წყალს უყაირათოდ იყენებდნენ, რაც თავის მხრივ მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუარესებას და სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის შემცირებას იწვევდა, ამიტომ აღნიშნულმა წესმა პრაქტიკაში გამოყენება ვერ ჰპოვა და 1957 წელს გაუქმდა.

როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ისე საქართველოს გვლეინან რაიონებში ყოველწლიურად შენდება და მწყობრში დგება ახალი სარწყავი სისტემები. ძველებს უკეთდება რეკონსტრუქციები ღონისძიებათა შედეგად დიდდება სარწყავი მიწის ფართობი, უმჯობესდება მათი მელიორაციული მდგომარეობა, და იზრდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. შეიმჩნევა, აგრეთვე, სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენების ცდებიც. მაგრამ არსებული მასალების გაცნობიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ დაბალია სარწყავი მიწათმოქმედების კულტურა, რაც, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს სარწყავი სისტემების ექსპლოატაციის დონესა და მშენებლობის ხარისხზე, სარწყავი წყლის რაციონალურ გამოყენებაზე, ხშირად რწყვის სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანისათვის მთავარი საკითხი არის სწორედ მათი მყარი ფინანსური ბაზა და მისი სწორი ორგანიზაცია. რასაც საფუძვლად უნდა დაედოს სამეურნეო ანგარიშის ძირითადი პრინციპი, რომ თითოეული საწარმო ფულადი ფორმით ზომავს წარმოების ხარჯებს და თავის სამეურნეო საქმიანობის შედეგებს, ფარავს თავის ხარჯებს პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული ფულადი შემოსავლებიდან და უზრუნველყოფს წარმოების რენტაბელობას. აქედან გამომდინარე, ამჟამად წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველო, როგორც სახელმწიფო საწარმო, წყალმოსარგებელ მეურნეობებს უფასოდ აძლევს თავის პროდუქციას — სარწყავ წყალს. გამოდის, რომ წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველომ თავისი სამეურნეო საქმიანობის წარმართვისათვის, საჭირო ფულადი სახსრების შექმნისათვის უნდა გამოიყენოს თავისი პროდუქცია — სარწყავი წყალი და რეალიზაცია გაუკეთოს წყალმოსარგებელ მეურნეობებს. როგორც ვხედავთ, ფულადი სახსრების შექმნის მთავარი საშუალება არის სარწყავი წყალი და მისი რეალიზაცია.

სარწყავი წყლის რეალიზაციისათვის, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს მისი სარეალიზაციო ფასი, ანუ წყალმოსარგებელ მეურნეობათა მიერ სახელმწიფო სარწყავი სისტემებით მოწოდებულ წყალზე ფულადი გადასახადი.

ჩვენს ქვეყანაში წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველოების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლასთან დაკავშირებით, დღემდე არ არის როგორც თვით წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველოებსა და წყალმოსარგებლე მეურნეობებს, ისე ამ დარგში მომუშავე მეცნიერებს შორის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოგვარდეს და გადაწყდეს გადასახადის საკითხი, რა უნდა დაედოს საფუძვლად სახელმწიფო სარწყავი სისტემებით მიღებული ფულადი შემოსავლის წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველოს ეკონომიკურ ეფექტიანობის ძირითადი ნაკლები, რომელიც ბევრ შეხვედრაზე ვერ უზრუნველყოფს მათ ნორმალურ მუშაობას. აღნიშნულის თავიდან აცილების მიზნით, ე. ი. იმისათვის, რომ სამმართველოებს ყოველწლიურად ჰქონდეთ მტკიცე, საჭირო რაოდენობის ფულადი სახსრები, საჭიროა ცალკეული სამმართველოების მრავალწლიური საერთო დანახარჯების ხელედვით დადგინდეს სათანადო ე. წ. დანახარჯების მარგალინრების ანუ უზრუნველყოფის კოეფიციენტები, რომელთა გამოყენებაც უზრუნველყოფს ყოველწლიურად საჭირო მტკიცე ფინანსური ბაზის შექმნას და უზრუნველყოფს წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველოების ნორმალურ მუშაობას.

სარწყავი სისტემების სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანა, წყალთამეურნეობის საწარმოო სამმართველოებსა და წყალმოსარგებლე მეურნეობებს შორის არენდული ურთიერთობა ხელს შეუწყობს სარწყავი სისტემების ექსპლოატაციის დონის ამაღლებას, სარწყავი წყლის რაციონალურად გამოყენებას, სარწყავი მიწების მელიორაციული მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ინტენსიურ გამოყენებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობასა და საერთო მოსავლის ზრდას, ძვირად ღირებული სარწყავი სისტემების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლებას.

ზოთა ყიზილაშვილი,
ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

მეორე ეტაპის წინ

როგორი წარმოიდგენია საქართველოს კომპარტია

ტიის მიზნის ფორმულირება ამიტომაც არის ძალზე ბუნდოვანი და არაფრისმთქმელი, რომ ვერ განმარტავს კომუნისტური იდეის „შეუთავსებლობას თანამედროვეობასთან; როგორც ჩანს, პარტიის სახელწოდების შეცვლისაც გვეშინია.

„დებულების“ მესამე მუხლში საქართველოს კომუნისტური პარტიის იდეურ-თეორიულ საფუძვლად **„დემოკრატიული სოციალიზმის“** შესახებ განაზლებადი მეცნიერული შეხედულებებია აღიარებული: მე მგონი, ეს უკანასკნელი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის (ისეთი პარტია უკვე არსებობს საქართველოში) და არა კომუნისტური პარტიის „იდეურ-თეორიული საფუძველი“ უნდა იყოს. როგორც ვიცით, კომუნისტური (იგივე ბოლშევიკური) იდეა კარგა ხანია გაბმულა სოციალ-დემოკრატიულ იდეას. საქართველოს თანამედროვე სოციალ-დემოკრატების განცხადებით (ეს განცხადება ჯერჯერობით არავის არ უარუყვია) ბოლშევიკები სოციალ-დემოკრატების ექსტრემისტული ფრთის წარმოადგენდნენ. ეხლა რა ვაღიაროთ: სოციალ-დემოკრატიული თეორიის მიმდევრობა და ექსტრემისტული პოზიციები? ასე ფონს ვერ გავალთ. ყველაფერს, მათ შორის პარტიასაც, თავისი სახელი უნდა დაეჩქვას. ყრილობის ერთმა დელეგატმა, ცნობილმა პიროვნებამ, „სახალხო პარტიის“ სახელწოდება შემოგვთავაზა. ვფიქრობთ, იქნებ მისაღებიც იყოს.

ძირითადი საპროგრამო დებულებების მეორე მუხლში საქართველოს კომუნისტური პარტიის მიზნის მიღწევის შესახებ საუბარია. ეს ალბათ ერთადერთი ადგილია, სადაც კონტროლის სრულყოფილი სისტემა არ მოქმედებდეს. საერთო დამახასიათებელი არის ის, რომ კონტროლი უმთავრესად არის საპარლამენტო; ფუნქციებიდან ერთ-ერთია სახელმწიფო პროგრამების დაფინანსების, ამ პროგრამებისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივად ხარჯვის, ამ სახსრების გამოყენების ეფექტიანობის კონტროლი; მკაცრი კონტროლის სისტემა არსებობს მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფო და ეკრძო საკუთრების, საკუთრების სხვა ფორმების თანაფარდობა, რამეთუ სისტემატური და სისტემური კონტროლი სჭირდება როგორც სახელმწიფო სექტორს, რაც ნებისმიერ ქვეყანას აქვს, ისე ბაზრის სფეროს.

ახლა კი მოკლედ, თუ როგორია ეს სტრუქტურა ცალკეულ ქვეყნებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესთან შექმნილია კონტროლის მთავარი სამმართველო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური კონტროლიორი. სახელმწიფო კონტროლის ფუნქცია დაკისრებული აქვს პრეზიდენტთან არსებულ ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს, რომლის ინსპექტორებიც ცალკეულ ფედერალურ სამსახურებზე არიან მიმაგრებულნი და პრეზიდენტის

სახალხო კომისარიატი, ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო კომისარიატ

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ...

... ...

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მეორეს ... სახელობის ფონდში.

საკვები არის, საჭიროა აჩქარება

ბურჯაანელ საკვებმომპოვებლებს შარშან მეტად რთულ პირობებში მოუწიათ საქმიანობა. ხანგრძლივმა გვალვამ დააწინა და „გაანადგურა ნათესები, ბუნებრივი სათიბები. რაიონის სოფლადმეურნეობამ ნამჯის და საფურაჟე მარცვლის შემოტანა რესპუბლიკის გარეთან მოუხდათ. მდგომარეობა ერთგვარად ნინა წლიდან გადმოყოლილმა სენაჟმა და სილოსმაც შეაშფოთა. მაგრამ საბოლოო ჯამში მეცხოველეობას მაინც დაეტყო საკვების უკმარისობა — იკლო წველადობამ, წონა-მატებამ. თუმცა გურჯაანელები ვარაუდობენ, რომ წლის ბოლომდე შეძლებენ დანაკარგის ანაზღაურებას. მაგრამ ეს დამატებით ხარჯებთან და დაძაბულ შრომასთან არის დაკავშირებული.

წელს ბუნება თითქოს წინა წლის სიმკაცრეს ინანებს. დროულად მოსულმა წვიმებმა გაალაღა ბალახი, ხორბალი და ქერი, სიმინდი. მოწყული ჭირნახული თვალსა და გულს ახარებს. საზოგადოებრივ მეურნეობებში ყველა სახის 13.329 ტონა მარცვალი უნდა მიეღოთ. ამ მაჩვენებელს უკვე გადაჯარბეს ხაშმოდგომო თავთავიანი კულტურებით. გალეწილია და დაბინავებულია 14.854 ტონა ხორბალი და ქერი.

კარგად გაიხარჯნენ მელაანის კოლმეურნეობის მემანდვრეთა იჯარული რგოლის წევრები, რომლებმაც ერთ ჰექტარზე საშუალოდ 47 ცენტნერი მარცვალი გალეწეს. რგოლს ათი წლით აქვს მოსავლელად გაპაროვნებული კოლმეურნეობის სახნავ-

... ...

... ...

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება მეორეს ... სახელობის ფონდში.

... ...

... ...

ბელგია ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანი, თავისუფლება, ბაზარი

აკადემიკოს ს. ს. შატალინის ხელმძღვანელობით მოქმედი ჯგუფის მიერ შემუშავებული პროგრამის შესახებ

ეს პროგრამა შეიძლებოდა ეწოდებინოყო მხოლოდ გარდაქმნის პროგრამებში და იგი მთლიანად ესტუდიისება 1985 წელს დაწყებული ეკონომიკის ბეს. ს. ს. გოგოხიაოვის და ბ. ნ. ელცინმა გამოჩენილ მისი მომზადების ინიციატივა და ამ პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ ამათი ერთობლივი მხარდაჭერით.

ჩვენი საზოგადოება ტოტალიტარული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მრავალი წლის ეკონომიკურ პოლიტიკურ კრიზისის მდგომარეობაში აღმოჩნდა. მთავრობის გაუბედაობამ, ეკონომიკურ პოლიტიკაში მის მიერ დაშვებულმა შეცდომებმა ქვეყანა კატასტროფის პირას მიუყვანა. ადამიანთა ცხოვრება სულ უფრო ძნელი ხდება, ხოლო უკეთესი მომავლის იმედები თანდათან ქრება. სიტუაციის გარდატეხა შეუძლია მხოლოდ კარგად მოფიქრებულ და ენერგიულ მოქმედებას, რომელსაც ექნება ხალხის მხარდაჭერა და რომელიც მის სოლიდარობასა და პატრიოტიზმს დაეყრდნობა.

ჩვენს საზოგადოებას შექენილი აქვს ეკონომიკური რეფორმების დიდი ნეგატიური გამოცდილება და ამიტომ ადამიანები ახლა რეფორმებს უკავშირებენ მხოლოდ თავიანთი ცხოვრების უარესდ ცვლილებებს. ცხოვრობამ, საბუნებრივ, ასწავლა მათ, უფრო მეტად მოელოდონ ცუდს, ვიდრე კარგს. შემოთავაზებული პროგრამის რეალიზაციას უნდა გააკრწყლოს ეს სავალალო გამოცდილება.

მისი მთავარი განსხვავება ის არის, რომ იგი ეყრდნობა პრინციპულად ახლებურ ეკონომიკურ დოქტრინას. ბაზრისაკენ მოძრაობა განხორციელდება უწინარესად სახელმწიფოს, და არა უბრალო ადამიანების ხარჯზე.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე არსებითად ანტიხალხური პოლიტიკა ტარდებოდა: სახელმწიფო — მდიდარი, ხალხი — ღარიბი. სახელმწიფომ თავის ხელში მოუყარა თავი უზარმაზარ რესურსებს, წარმოების საშუალებათა პრაქტიკულად მთელ საკუთრებას. რესურსები დაუფიქრებლად იხარჯებოდა გიგანტურ და ძვირფასეტიან პროექტებზე, სამეფრო ძლიერების უზომო ზრდაზე, იდეოლოგიურ სარწმუნეიან საგარეო-პოლიტიკურ ავანტიურებზე, თუმცა ყოველივე ამას ჩვენ უკვე დიდი ხანია ვეღარ ავუდიეთ.

პროგრამა აყენებს ამოცანას: ყველაფერი, რაც შესაძლებელია, გამოვართვათ სახელმწიფოს — და გადავცეთ ადამიანებს. გვაქვს სერიოზული საფუძველი მივიჩნიოთ, რომ ხალხისათვის საკუთრებისა და რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის სხვადასხვა პირობით დაბრუნება უზრუნველყოფს მათს გაცილებით უფრო ეფექტიან დაოდგიან გამოყენებას და საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ბევრი ნეგატიური მოვლენა ბაზრის გადასვლის პროცესში. გაბედულად უნდა შევამციროთ მთელი სახელმწიფო ხარჯები, მათ შორის. საზოგადოებისაგან დამალული მუხლებით გათვალისწინებული.

და მხოლოდ მაშინ, როცა ყველა შესაძლებლობა და რესურსი, რომელსაც დღეს გიგანტური სახელმწიფო მანქანა ნთქამს, ხალხის საჭიროებათა სამსახურში ჩადგება, როდესაც ისინი გაიგებენ ამას, მხოლოდ მაშინ ექნება უფლება ქვეყნის ხელმძღვანელობას მიმართოს ხალხს მოწოდებით გამოიჩინოს მოთმინება, აიტანოს შეაძლო გაჭირვება სამშობლოს საკეთილდღეოდ, თავისი მომავლისა და შვილების მერმისის სასიკეთოდ.

ჩვენ აგრეთვე დახმარებისათვის უნდა მიგმართოთ სხვა ქვეყნებს. ისინი მხარში ამოგვიდგებიან, თუ ცნობენ ჩვენს პროგრამას საკმაოდ გაბედულად და კომპეტენტურად, თუ დარწმუნებული იქნებიან, რომ გამოყოფილ დახმარებას გამოვიყენებთ გონივრულად და ეფექტიანად, ადამიანთა სასიკეთოდ.

ყოველი კაცი, ყოველი საწარმო, ყოველი ტერიტორია თუ სუვერენული რესპუბლიკა შემოთავაზებულ პროგრამაში დაინახავენ თავიანთი სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გამოხმაურებას და ამისი მეშვეობით შეძლებენ იმოქმედონ ამ ინტერესების რეალიზაციისათვის ახლავე, დაუყოვნებლივ.

ეს არის პროგრამის კიდევ ერთი პრინციპული თავისებურება: ადამიანები არ უნდა ელოდონ ვისიმე ნებართვებს თუ მითითებებს, ისინი უნდა მოიქცნენ თავიანთი ინტერესების შესაბამისად. პროგრამა კი გვიჩვენებს, თუ როგორ აჯობებს უფრო ეფექტიანი მოქმედება ამ მიმართულებით. ადამიანს, რომელიც დაინტერესებია კითხულობს ამ პროგრამას, შეუძლია განსაზღვროს, რა არის ხელსაყრელი პირადად მისთვის, და წინასწარ გადაწყვიტოს, როდის და რა უნდა აკეთოს, რა, ვისგან, რა მოცულობით და რა პირობებით მოითხოვოს თავისი ეკონომიკური უფლებებისა და ინტერესების რეალიზაციისათვის.

არავინ არავის არ ახვევს თავს საქმიანობის გვარეობასა და ტიპს, თითოეულს თავად შეუძლია აირჩიოს თავისი სურვილისა და შესაძლებლობის ცვალობაზე: გახდეს მეწარმე, დაქირავებული მუშაკი სახელმწიფო სტრუქტურებში თუ მენეჯერი საკქციო საწარმოში. ხელი მოჰკიდოს ინდივიდუალურ შრომითს საქმიანობას თუ გახდეს კოოპერატივის წევრი. რეფორმა მოქალაქეებს ანიჭებს ეკონომიკური თვითგამორკვევის უფლებას, ამასთან ადგენს ისეთ წესებს, რომელთა დაცვა არ დაანებებს ერთ (ადამიანებს, ადამიანთა ჯგუფებს, საწარმოებს თუ ტერიტორიებს) უზრუნველყოფ თავიანთი ინტერესები სხვათა ეკონომიკური უფლებების შელახვის ხარჯზე. სწორედ არჩევანის თავისუფლებაა ადამიანთა პირადი თავისუფლების საფუძველი, პირონების შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლინის საძირკველი. ამას ჯერ არ ეფექმის მომავალი საბაზრო მეურნეობის წესები — ისინი წარმოიშობა თვით ასეთი საზოგადოების ფორმირებისა და განვითარების პროცესში. შემოთავაზებული პროგრამის ეკონომიკური შინაარსია ბაზარზე გადასვლა. ახალი ეკონომიკური სისტემის საზოგადოების საფუძველის შექმნა.

ჩვენში შექმნილი ეკონომიკური ურთიერთობისა და სახალხოსამეურნეო კომპლექსის მართვის სისტემის ბრალია ის, რომ უმდიდრეს ქვეყანაში გამრჯე ხალხი ცხოვრობს ისეთ დონეზე, რომელიც სრულიად არ შეესაბამება ტერიტორიის სიმდიდრეს, მის უნარს და ძალისხმევას, ადამიანები ცხოვრობენ უფრო უარესად, ვიდრე მუშაობენ, იმიტომ, რომ ან აკეთებენ არა იმას, რაც თავად მათ სჭირდებათ, ანდა ის, რასაც ისინი აკეთებენ, იკარგება ან არ გამოიყენება.

შემოთავაზებული პროგრამა განსაზღვრავს ისეთ ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლის გზებს, რომელსაც შეუძლია აღმოფხვრას ეს მდგომარეობა და მიანიჭოს ყველა მოქალაქეს რეალური შესაძლებლობა გაცილებით უფრო უკეთესი გახადოს თავისი ცხოვრება. ამრიგად, პროგრამა შეიძლება განვიხილოთ როგორც მოქალაქეთა უკეთესი, უფრო ღირსეული ცხოვრების უფლებათა რეალიზაციის პროგრამა.

ადამიანის საკუთრების უფლება

საკუთრების უფლება ხორციელდება სახელმწიფო ქონების გასახელმწიფოებისა და პრივატიზაციის, მოქალაქეებისათვის გადაცემის მეშვეობით. სწორედ საკუთრების ხალხისთვის დაბრუნებით ვლინდება უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის სოციალური ორიენტაცია. ეს არის არა რეგანშის აქტი, არამედ სოციალური სამართლიანობის აღდგენა, ფორმა ადამიანის უფლების დამკვიდრებისა მის წილზე ქვეყნის სიმდიდრეში და ამ შეძენილ ეროვნულ სიმდიდრეში ეიმაში, რაც მოშავალში შეიქმნება. პრივატიზაცია, რაც საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, — ეს არის საზოგადოების მდგომარეობისა და განვითარების დონისათვის პასუხისმგებლობის განაწილების ფორმა მის ყველა წევრს შორის, რომლებიც მოისურვებენ იკისრონ ეს პასუხისმგებლობა. პრივატიზაცია უნდა იყოს ამაღლუტურად ნებაყოფლობითი და არ უნდა წაიგდეს პირიქით კოლექტივიზაციას.

საკუთრება ყოველი ადამიანის ხელში — ეს არის გარანტია საზოგადოების სტაბილურობისა, სოციალური და ეროვნული რეგვების თავიდან აცილების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ბერობა. კაცი, რომელსაც აქვს საკუთარი სახლი და მიწის ნაკვეთი, რომლებიც შეუძლია გადასცეს ან დაუტოვოს თავის შვილებს, კაცი, რომელიც ფლობს აქციებს ან სხვაგვარ ფინანსურ აქტივებს, ობიექტურად არის დაინტერესებული საზოგადოების სტაბილურობით, სოციალური და ეროვნული თანხმობით. და პირიქით, ჩვენი სავალალო გამოცდილება გვიჩვენებს, როდესაც საში შია საზოგადოებისათვის, მისი ნორმალური ცხოვრებისა და განვითარებისათვის კაცი, რომელსაც დასაკარგი აღარაფერი აქვს.

პროგრამა თანასწორ შანსს ანიჭებს ყველას. მაგრამ შანსის ეს თანასწორობა არ უნდა აღვიქვათ გათანაბრების სარკოვან გამოსახულებად. იმისათვის, რომ პრივატიზაცია არ გადაიქცეს ერთი მუჭა ხალხის ლეგალური და მეტისმეტი გამდიდრების ხერხად, თვით პროცედურა უნდა უზრუნველყოფდეს მასში ყველაზე ფართო ფენების მონაწილეობას: პრაქტიკულად ყოველ ადამიანს, რომც არ ჰქონდეს პირველივე მნიშვნელოვანი კაპიტალი, შეუძლია სურვილისამებრ მიიღოს თავისი წილი ეროვნული სიმდიდრე. შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფს პრივატიზაციის ფორმების მრავალფეროვნება, რაც ადამიანს აძლევს შესაძლებლობას ან იჯარით აიღოს ქონება, ან გამოისყიდოს იგი კრედიტით, ანდა შეიძინოს საპაიო საწყისებზე და ა. შ.

პრინციპულად დიდმნიშვნელოვანია ის, რომ სახელმწიფო ვერ დაარიგებს და არც უნდა დაარიგოს უფასოდ თავისი ქონება. საკუთრება უნდა გამომუშაო, ვინაიდან მუქთა საკუთრებისა კაცს ცუდად სჯერა და ნაკლებად აფასებს. ამასთანავე სახელმწიფო ქონების ნაწილი უნდა ჩაითვალოს ადამიანთა მიერ უკვე გამომუშავებულად, და იგი შეიძლება მიეცეს მათ უფასოდ ან სიმბოლურ ფასად. უწინარესად საქმე ეხება დიდი ხნის დაკავებულ ბინებს, სადაც მინიმალური მეტრაჟია სულზე, მცირე საბოლო ნაკვეთებსა და მრავალ სხვას.

ამის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მუშაობა, რათა წლის დამლევამდე შეიქმნას 50-60 სააქციო კომპანია მსხვილი სახელმწიფო საწარმოების ბაზაზე, აგრეთვე გადაიცეს ან გაიყიდოს სიმბოლურ ფასად გარკვეული (უკვე ფაქტობრივად გამომუშავებული) კატეგორიების ბინები და მიწის ნაკვეთები.

უნდა მოეწყოს ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის, უწინარესად, ოქროს ვალუტის — რეზერვების, სტრატეგიული მარგის, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების, დაუმთავრებელი მშენებლობის, შეიარაღებული ძალების ქონებისა და ზოგიერთ სხვა სახეობათა სახელმწიფო ქონების (მსუბუქი ავტოტრანსპორტი, სახელმწიფო აგარაკები და სხვ.) ინვენტარიზაცია. ადგილობრივი (რაიონული და საქალაქო) საბჭოები აწყობენ არასაცხოვრებელი სათავსების ინვენტარიზაციას. ადგილობრივი საბჭოები აგრეთვე ყინავენ საწარმოო მშენებლობათა დიდ ნაწილს დაუმთავრებელი მშენებლობის ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით. ფასდება ამ ობიექტების, დაუყენებელი მოწყობილობის, მშენებლობის მატერიალური მარგის ღირებულება. ამრიგად გაწეული შუმაობა საშუალებას მოგვცემს შევუდგეთ მატერიალური მარგის ნაწილის, რეალიზაციის მოსახლეობის, საწარმოების, კოოპერატივებისადმი.

ადგილობრივი საბჭოები აფაიენენ სავაჭრო საწარმოების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების, სხვა დარგების წვრილი და საშუალო საწარმოების ღირებულებას. ამ საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ანალიზის მიწყობის შემდეგ პრესაში ქვეყნდება მათი სიები, სადაც აღინიშნება პრივატიზაციის ვადები და პირობები. შემდეგ პრივატიზაციის მიმდინარეობის შესახებ სრული საჯაროობის პირობებში იწყება არასაცხოვრებელი სათავსების, წვრილი საწარმოების: სახელოსნოების, მაღაზიების, ატელიების, კიოსკების გაყიდვა. პროგრამის მიზანია ადამიანებმა შეძლონ მოიხმარონ მათს ხელთ არსებული ფული საკუთრების შესაძენად. მოთხოვნის მნიშვნელოვანი ნაწილის ამ მიზნებზე გადატანის მეოხებით შეგძლებთ თავიდან აციცილოთ ფასების არეხებითი ზრდა მათი ეტაპობრივი „განთავისუფლების“ დროს.

ამასთანავე ადგილობრივი საბჭოები აწყობენ მიწის ინვენტარიზაციას მისი გამოყენების ხასიათის გათვალისწინებით. ამ ღონისძიებათა განხორციელება საშუალებას მოგვცემს უზრუნველყოთ ყველა იმათგანისათვის მიწის ხელმისაწვდომობა, ვისაც სურს მისდიოს სოფლის მეურნეობას. პარალელურად გაფართოვდება მიწების გამოყოფა მეგალეობა-მებოსტნეობის ამხანაგობებისათვის ნაკვეთების საფასურით რეალიზაციის პირობებში. ამასთან უკვე გამოყოფილი ნაკვეთების რეალიზაცია გარკვეულ ოდენობამდე წარმოის ზომიერ ფასად, დადგენილ ფართობზე მეტისა — სრული საბაზრო ღირებულებით.

ძირითადი დატვირთვა მოქალაქეთა საკუთრების უფლებების რეალიზაციის დროს მოდის სპეციალურად შექმნილ პრივატიზაციის ორგანოებსა და მიწის რეფორმის საკითხთა კომიტეტებთან, რომლებიც სახალხო დეპუტატების საოლქო (რაიონულ) საბჭოებთან იქმნება.

მოქალაქეთა ეკონომიკური საქმიანობის უფლებას უზრუნველყოფს ქონების გადანაწილება სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის განსახელმწიფოების დროს, აგრეთვე სამეწარმეო საქმიანობის კანონის მიღება. სახელმწიფო ქმნის ისეთ სამეურნეო გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს ინიციატივისა და თაოსნობის განვითარებას, მაქსიმალურად გაამარტივებს საკუთარი საქმის გახსნის შესაძლებლობას, ხელს შეუწყობს მიწ. სწორად დაყენებას, ხელს გაუმართავს შეღავათიანი გადასახადითა და კრედიტებით მსხვილ საწარმოებთან კონკურენციაში. პროგრამა იმას ეფუძნება, რომ წვრილი მეწარმეობა სჭირდება საზოგადოებას, რათა წარმოება წარმართოს ყოველი კონკრეტული ადამიანის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, სამომხმარებლო და საწარმოო ბაზრებზე მონოპოლისტთა დიქტატის წინააღმდეგ საბრძოლველად, იმ ახალი მეცნიერულ-ტექნიკური იდეების სწრაფი ათვისების აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რომლებსაც ყველაზე მეტად აღიქვამს წვრილი და საშუალო მეწარმეობა.

მოქალაქეთა ეკონომიკური საქმიანობის უფლება

როგორ განხორციელდება ტექნიკურად ადამიანთა საკუთრების უფლება?

პროგრამის რეალიზაციის დაწყების პირველივე დღეს ოფიციალურად ცხადდება ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამეურნეო საქმიანობის წარმოების უფლების თანასწორობა. ცხადდება პრივატიზაციის, მსხვილ სახელმწიფო საწარმოთა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და სხვა დარგების წვრილი საწარმოების ფაფუდვის პროგრამა. ამავე განცხადებაში აღინიშნება საკუთრების უფლებათა გარანტიების ნებისმიერი სახის ქონებაზე, გარდა იმისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ეკუთვნის. ცხადდება სამეწარმეო საქმიანობის მუხლების მიხედვით მსჯავრდებულთა ამნესტია, თვით ეს მუხლი ამორიცხება სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. იმავდროულად ძლიერდება ბრძოლა მოქალაქეთა საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულობებთან.

კანონმდებლობის წესით უზრუნველყოფილ იქნება ხელმეწყობი ვითარება, რათა შრომითი კოლექტივების ინიციატივით საწარმოები სახელმწიფო საკუთრებიდან იქნეს გამოყვანილი სახელმწიფო ქონების ფონდში ან სახელმწიფო ქონების მმართველობის რესპუბლიკურ კომიტეტებში მათი გადაცემის გზით.

სახელმწიფო ატიმეულირებს საერთაშორისო სამეურნეო ურთიერთობის, საზღვარგარეთ სამუშაოდ ან სასწავლელად გამგზავრების განვითარებას. ცდება, აგვიშენებინა გარე სამყაროსაგან გამოცალკევებული სისტემა, პრაქტიკულად მოგვტანა ჩვენი ეკონომიკის მეტი წილი დარგების დეგრადაცია და უძრაობა. საშინაო ბაზრის გახსნა აიძულებს სამამულო მეწარმეებს კონკურენცია გაუწიონ იაფ იმპორტულ საქონელს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, რაც ჩვენს მეურნეობას მიანიჭებს დინამიკურობასა და მოქნილობას ბაზრის და, მაშასადამე, მომხმარებლის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

მოქალაქეთა სამომხმარებლო არჩევანის თავისუფლებისა და სამართლიანი ფასების უფლება

ახალი ეკონომიკური სისტემის უფლებათა-თავისუფლებათა შორის სამომხმარებლო არჩევანის უფლებას უკანასკნელი ადგილი როდი უკავია. სამომეო სამომხმარებლო ბაზარი დღესდღეობით აღმოჩნდა პრაქტიკულად მთლიანად გაჩანაგებული, ხოლო ჩვენი მომხმარებლები, ანუ ჩვენ ყველანი, შესაბამისად, — უუფლებონი. დიადი სახელმწიფოს მოქალაქენი ცარიელი მაღაზიების მძევლები გახდნენ და პრაქტიკულად საქონელმწარმოებელი მონოპოლისტებისა და საქონელგამანაწილებელი მონოპოლისტების ძალაუფლების ქვეშ მოექცნენ.

ასეთი მდგომარეობის მრავალ მიზეზთა შორის უწინარესად უნდა აღინიშნოს ინფლაციური, საქონლით გაუნაღდებელი ფული, რომელიც მოსახლეობას ეძლევა ძირითადად უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში. გაუთავებელი საყვედურები, რომ ვინმემდა ადამიანებს უამრავი „ზედმეტი“ ფული დაუგროვდათ და იგი რაღაცნაირად უნდა ამოვიღოთო, თავისი არსით უზნეოა. განა შეიძლება „ზედმეტად“ ჩითვალო დანაზოგი, რომელიც ოდნავ ერთ სულ მოსახლეზე? თუ გავითვალისწინებთ მოქალაქეთა მეტწილად ღარიბულ პირად ქონებას, გამოირკვევა, რომ „ზედმეტი“ ფულის მფლობელთა უდიდესი უმრავლესობა დიდად არ ასცილებია სიღატაკის ზღვარს. მთელი იმ ფულის საერთო თანხაც კი, რომელსაც მომხმარებლები დღეს დაუყოვნებლივ დახარჯავდნენ ამა თუ იმ საქონლის შესაძენად, უაღრესად მცირეა. მაგრამ ამ ფულად დაპირისპირებასაც კი ვერ უძლებს ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი.

რეფორმის მიზანია სამომხმარებლო ბაზრის მდგომარეობის ნორმალიზაცია ფასწარმოქმნის ლბერალიზაციის გზით, ხოლო გარდამავალ პერიოდში სასაქონლო რესურსების ფორმირების გზით, მათ შორის, იმპორტული მიწოდების ხარჯზე ბევრი სახეობის საქონლის თავისუფალ ფასებზე მომავალი ეტაპობრივი გადასვლის გათვალისწინებით. შემოღებულ იქნება ვალუტის ყიდვა-გაყიდვის თავისუფალი კურსი, ყალიბდება სავალუტო ბაზარი. მთელი რიგი დიდი ბანკები მიიღებენ უფლებას იკაჭონ ვალუტით საბაზრო ფასების მიხედვით, ხოლო საბჭოთა მოქალაქეებს ნება მიეცემთ თავისუფლად შეინახონ ვალუტა ბანკებში.

არის აზრი, რომ ბაზარზე გადასვლა შეუძლებელია ფასების ადმინისტრაციული მომატების განუხორციელებლად. პროგრამა საშუალებას გვაძლევს დავიწყოთ ასეთი ვადასვლა ფასების ცენტრალიზებული მომატების გარეშე. ბაზარზე ხდება ხოლმე ფასების მომატებაც და დაცემაც, ხოლო ადმინისტრაციული სისტემა, შეტადრე უკანასკნელ წლებში, ფასებს მხოლოდ მინუსი ნიშნით ცვლის. უკვე ვხედავთ ჩვენი ჯერ კიდევ უბაზრო მეურნეობის მაგალითით, როგორ ძვირდება ცხოვრება და ეს ხდება გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკა აღიარებს.

რატომ უნდა იყვნენ ადამიანები დარწმუნებულნი, რომ ფასების სახელმწიფო კომიტეტის მორიგი **პრეისკურანტები** მოგვცემენ სამართლიან ან სამართლიანთან მიახლოებულ ფასებს, თუ ფასსასაკომს აქამდე ეს ერთხელაც არ გამოსვლია? რა თქმა უნდა, არ არის იმის გარანტია, რომ თავისუფალი საბაზრო ფასებიც ერთბაშად გახდება სამართლიანი. მაგრამ ბაზარი მათ ადრე თუ გვიან დაიწესებს, ხოლო ადმინისტრაციული კონტროლი და მათი ცენტრალიზებული მმართველობა — არასოდეს. მაშინაც კი, რო.დესაც მთავრობა ახერხებს ადმინისტრაციული წესით შეინარჩუნოს ამა თუ იმ საქონლის დაბალი ფასები (მეტადრე დეფიციტური სახეობებისა), მომხმარებელს, როგორც. წესი, გულის მოსაოხებლად ისღა დარჩენია, რომ იფიქროს, დაბალი ფასები სადღაც კიდევ არსებობსო. ეს საქონელი შეტწილად არ იყიდება, ანდა მოსახლეობის პრივილეგიერებული ფენების კუთვნილება ხდება. მყიდველთა მეტი ნაწილი უკვე დიდი ხანია იძენს მათ ბაზარზე, კერძოდ, „შავ“ ბაზარზეც, გაცილებით უფრო მაღალ ფასად.

თავისუფალ ფასებზე გადასვლა განხორციელდება ეტაპობრივად. იმ საქონლით დაწყებული, რომელიც ჯერ არ შედის უპირველესი საჭიროების მოხმარების საგანთა რიცხვში, და, რომელსაც ძირითადად იძენენ მოსახლეობის დიდშემოსავლიანი ფენები. ამის გამო ფასების ზრდის მთელი სიმძიმე უწინარესად სწორედ მათ დაეწვება.

პროგრამის შესაბამისად პროდუქტები დიფერენცირებულ უნდა იქნეს ხარისხიანობის მიხედვით. საქონლის ფასების ფართო დიფერენციაცია მისი ხარისხის კვალობაზე ეხამება უპირველესი საჭიროების საქონლის წრის დაბალ ფასებს. ეტაპობრივად იზრდება თავისუფალი ფასების წილი (ეკონომიკის ფინანსური სტაბილიზაციის ღონისძიებათა რეალიზაციის კვალობაზე). მაღალხარისხოვანი პროდუქტების გაყიდვის პირველ ხანებში შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სპეციალური გადასახადი, რათა შევინარჩუნოთ დაბალი ფასები მასობრივი მოთხოვნის პროდუქტებზე, რომლებიც არის სავაჭრო ქსელში. არამცდა არამც არ შეიძლება დავიწყოთ რეფორმა ხორცისა და რძის პროდუქტებზე სახელმწიფო დოტაციების გაუქმებით. ისინი უნდა შევინარჩუნოთ და მივანიჭოთ ადგილობრივ საბჭოებს უფლება, უფრო სამართლიანად გაანაწილონ ის დახმარება.

მოქალაქეთა შემოსავლის ზრდისა და სოციალური გარანტიების უფლება

დღემდე მოქმედი მოსახლეობის ცხოვრების დონისა და შემოსავლის სახელმწიფო რეგულირების სისტემის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია მისი არაპერსონალურობა და მოუქნელობა. ათწლეულების მანძილზე უცვლელი რჩება ბევრი გადასახდელი მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან, არ გადაისინჯება მინიმალური ხელფასის დონე. გადასინჯვებს შორის მრავალი წლის ინტერვალებში ისინი მთლიანად კარგავენ უნარს შეესაბამებოდნენ თავიანთ პირველდელ დანიშნულებას. უფრო მეტიც, მოსახლეობის დიდი ჯგუფების შემოსავლის დაბალი დონე ამკვიდრებს განუვითარებელ, სამეთხოვრო მოთხოვნილებებს. ამ სფეროში წარმომობილი უარყოფითი პროცესები ინიღბებოდა დაქსაქსული ღონისძიებებით, რომელთა აზრი ის იყო, რომ მიეფუჩეჩებინათ არსებული წინააღმდეგობანი. ასეთი დამუხრუჭება, რეალური ცხოვრების ცვლილებებზე დროული რეაგირების უუნარობა მოქმედი სისტემის დამახასიათებელი ნიშანია.

ბაზარი, როგორც უაღრესად მობილური სისტემა, არა მარტო ალიბერალურებს ეკონომიკურ პროცესებს, არამედ ქმნის კიდეც მექანიზმებს, რომლებიც ხელს უწყობენ ცხოვრების დონეში მიმდინარე ცვლილებათა რეგულირებას. მათ რიცხვს განეკუთვნება ფულადი შემოსავლის ინდექსაცია, შემოსავლის დონეთა რეგულარული გადასინჯვა მინიმალური სამომხმარებლო ბიუჯეტის დინამიკის შესაბამისად, სიღატაკის ზღვარს მიღმა დარჩენილ ადამიანთა სოციალური შემწეობის სისტემა.

არ არის აუცილებელი, ბაზარზე გადასვლა დაგვიჯდეს შემოსავლის პირდაპირი გაყინვის ფასად, როგორც ამას არცთუ იშვიათად წარმოსახავენ საბაზრო ეკონომიკის მოწინააღმდეგეებიც და მომხრეებიც. პროგრამა ითვალისწინებს აღდგეს გამომუშავების ჭეშმარიტი დამოკიდებულება საკუთარი შრომის შედეგზე, მისი რეალური შეესების სავალდებულო, თუმცა თანდათანობითი ზრდით. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მივაღწიოთ სამეწარმეო და შრომითი აქტიურობის ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, აფართოებს შემოსავლის გადიდების შესაძლებლობებს.

მოსახლეობის შემოსავლის შემადგენლობაში სულ უფრო მეტ როლს შეასრულებს საკუთრების შემოსავალი: ახლანდელზე უფრო მაღალი პროცენტების მიღება სანაკონ ანაბრებისა და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ობლიგაციებისათვის, აქციებისაგან შემოსავლის მიღება.

ეკონომიკის ხელახალი სოციალური ორიენტაცია შეუძლებელია ფართო სტრუქტურული გარდაქმნის განუხორციელებლად. მაგრამ ვერავითარი, თუნდაც საუკეთესო ცენტრალიზებული, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკური სისტემა ვერ განახორციელებს მას, ვინაიდან არ შესწევს უნარი მოიცვას და დაკმაყოფილოს სოციალური ყველა მოთხოვნილებანი. სტრუქტურული გარდაქმნა მოითხოვს ძალისხმევას და გარდაუვალ დროებითს მსხვერპლს. მაგრამ ეს ბაზრის ბრალი კი არ არის, არამედ მისი არარსებობის შედეგია. და ასეთი სტრუქტურული გარდაქმნის განუხორციელებლად პრინციპულად შეუძლებელია მივაღწიოთ ცხოვრების დონის რამდენადმე არსებითს ზრდას, რა თქმა უნდა, ბევრი წარმოების დახურვა და გადაკეთება მოითხოვს დიდალი ხალხის დროებითს გამოთავისუფლებას და ხელახალ სწავლებას. ამის შედეგად ჩამოყალიბდება დასაქმების ახალი, უფრო ეფექტიანი სტრუქტურა. შემციდება წარმოების მძიმე და მავნე უბნები, ხელის შრომა, ხოლო უფრო კვალიფიციური მუშაკები ახალ მაღალეფექტიან წარმოებებში უკეთ გამომუშავებენ.

დასახელება შრომითი მოწყობის სამსახურის რეორგანიზაცია და შემწეობის დაწესება იმათთვის, ვინც რაღაც მიზეზით ახალ სამუშაოს ეძებს. მუშაობის ძებნისას ამ საქმეში სახელმწიფო სამსახურების აქტიური მონაწილეობის პირობით ადამიანებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ სამუშაოებში: გზების, სახლების მშენებლობაში, თანაც, იზრუნონ ერთმანეთზე — თავისთვის. მსურველნი შეძლებენ მიიღონ მიწის ნაკვეთი და დაამუშაონ იგი.

დაგეგმილია მუშა-მოსამსახურეთა ხელახალი სწავლებისა და გადამზადების კურსებისა და პროგრამების ორგანიზაცია, ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი სამუშაოების სისტემის ფორმირება. დასაქმების პრობლემის სიმწვავეს არსებითად დაიცხრობს დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა ახალ წარმოებებში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში, მეწარმეობისა და წვრილი საწარმოების განვითარების სტიმულირება.

დასაქმების რეგულირებამ უნდა უზრუნველყოს არა კონკრეტული სამუშაო ადგილის მიჩნევა მუშაკისათვის, არამედ პირობების შექმნა კვალიფიკაციისა და პროფესიული ოსტატობის განუწყვეტელი ამაღლებისათვის. სწორედ ასეთი მუდმივმოქმედი შექანიზმის შემუშავება და სრულყოფა წამოჭრილი პრობლემების შესაბამისად გახდება დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ბირთვი.

საწარმოთა ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების უფლება

საწარმოთა ეკონომიკური თავისუფლება გამოიხატება იმით, რომ მათ ენიჭებათ შესაძლებლობა იმოქმედონ თავიანთი მუშაკების, მესაკუთრე აქციონერებისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის და საბაზრო კონიუნქტურის შესაბამისად, დამოუკიდებლად განსაზღვრონ წარმოების მოცულობა და სტრუქტურა. თავიანთი პროდუქციის გაყიდვის მოცულობა, ფასები, შეარჩიონ პარტნიორები.

პრაქტიკულად პროგრამის განხორციელების დაწყებისთანავე საწარმოებს მიეცემა შესაძლებლობა გამოიცვალონ მფლობელი: ან პრივატიზაციის გზით (უმთავრესად წვრილი და საშუალო საწარმოებისათვის), ანდა სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის გზით (უპირატესად საშუალო და მსხვილი საწარმოებისათვის). და მაშასადამე, საწარმოთა კოლექტივებს პროგრამის გამოცხადებისთანავე შეუძლიათ დაიწყონ მზადება და რაც შეიძლება ნაკლებტკივნეულად გაიარონ ეს პროცესი, რაც პრინციპულად განსხვავდება ჩვენი პრაქტიკისაგან, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებებს მეხივით დავატეხთ ხოლმე ხალხს თავზე. მათ შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ გადაწყვეტონ საკითხი კონტრაქტის საფუძველზე მაღალკვალიფიციურ მმართველთა დაქირავების შესახებ.

ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით დამკვიდრებული სამეურნეო კავშირები, ალბათ, გაიყინება 1991 წლის იანვლისამდე. მაგრამ ამის შემდეგ საწარმოებს მიეცემათ უფლება დამოუკიდებლად განსაზღვრონ წარმოების ნომენკლატურა და მოცულობა, მომმარაგებლები და მომწოდებლები, მოაწყონ პროდუქციის თავისუფალი გასალება მთელ ქვეყანაში.

საწარმოები გამოვლენ დარგობრივი მონოპოლიების სისტემიდან და უნდა დაამყარონ ჰორიზონტალური ურთიერთობა თავიანთ პარტნიორებთან. ისინი შეძლებენ აგრეთვე შეიძინონ საბითუმო ბაზარზე მატერიალური რესურსები, მათ შორის დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტები და ა. შ., თავისუფლად გაყიდონ ზედმეტი მოწყობილობა, მატერიალური მარაგი და სხვა ქონება, გაიჯარონ თავიანთი ძირითადი ფონდები. ნებადართულად გამოცხადდება უშუალო მონაწილეობა საგარეო-ეკონომიკურ საქმიანობაში, საწარმოები შეძლებენ იყიდონ და გაყიდონ ვალუტა საშინაო სავალუტო ბაზარზე.

შეიძენენ რა ახალ უფლებებს, თავიანთი ეკონომიკური თავისუფლების სფეროს გაფართოების პროცესში საწარმოებმა უნდა გითვალისწინონ რომ პროგრამა მათთვის გულისხმობს მკაცრ შეზღუდვებს: კრედიტისათვის საგ

უკანასკნელი

საკლესიო იუწყება

10 სექტემბერი

● აშშ

პრეზიდენტთა შეხვედრის რეზონანსი

ვაშინგტონი. შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. ბუში კვირას გვიან ღამით დაბრუნდა მელსონკიდან, სადაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ერთდღიანი შეხვედრა გაიმართა.

„ჩვენ უაღრესად კმაყოფილი ვართ შეხვედრის შედეგებით",— უთხრა ჯ. ბუშმა ჟურნალისტებს ოვალთმფრინავში საუბრისას. შეხვედრის ძირითადი შინაარსი გახდა ერაყის წინააღმდეგ მიმართული სანქციების შესრულების მოწოდება, თქვა მან და დასძინა, რომ სსრკ და აშშ ერთიანი პოზიცია ამ საკითხში „ხადგამ ბუაეინს ნათელ სიგნალს აძლევს". „ვფიქრობ, ეს ასევე იქნება ნიშანი მთელი მსოფლიოსთვის და საკუთრივ კმაყოფილი ვარ ამით", — განაცხადა პრეზიდენტმა.

შეხვედრის შედეგად მიღებული ერთობლივი განცხადების შეფასებისას პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა მას „საეცხოო" უწოდა. „შედეგი ნაბიჯი სანქციების შესრულების უზრუნველყოფა იქნება", — აღნიშნა მან. **ჯ. ბუშმა ასევე განაცხადა, რომ არსებობს საბჭოთა ხელმძღვანელთან კიდევ ერთი შეხვედრის შესაძლებლობა წლეულს მოგვიანებით, ან მომავალი წლის დამდეგს.**

ტელეკომპანია სი-ბი-ესისთვის კვირას მიცემულ ინტერვიუში სახელმწიფო მდივანმა ჯ. ბეიკერმა აღნიშნა, რომ შეხვედრამ ნათელყო ორი ქვეყნის პოზიციების დამთხვევა ერაყის აგრესიის მიმართ. „ისტორიულ დოკუმენტად" დაახასიათა ერთობლივი განცხადება აშშ პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების დარგში ბ. სკოუკროფტმა. **პრეზიდენტის თანაშემწემ დადებითი პასუხი გასცა კითხვას იმის შესახებ, თუ შესაძლებელია საბჭოთა და ამერიკული ჯარების შეთანხმებული მოქმედება.** ახლო აღმოსავლეთში საბჭოთა სამხედრო ყოფნისადმი აშშ-ის დამოკიდებულების შეცვლა მან უწინარეს ყოვლისა იმით ახსნა, რომ საბჭოთა კავშირი „მეტად პასუხსაგებ როლს ასრულებს" რეგიონში ახლანდელი კრიზისის მოწესრიგებაში.

ნიუ-იორკი. ერთ-ერთმა უფროსმა გავლენიანმა ამერიკელმა კანონმდებელმა, სენატის შეიარაღებული ძალების კომიტეტის თავმჯდომარემ სენ ნანმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების სამხედრო ძალების ზრდა ახლო აღმოსავლეთში უნდა შეწყდეს. დემოკრატიული პარტიის ჯორჯიის შტატის ორგანიზაციის კონფერენციაზე ატლანტაში ჟურნალისტებთან საუბრისას სენატორმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს რეგიონში უკვე მყოფი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეების როტაცია. ამავე დროს მან ხაზი გაუსვა, რომ აუცილებლად მაინც არაბული ქვეყნების ჯარების რიცხოვნობის გაზრდა.

„ვფიქრობ, შეკავების პოტენციალი ჩვენ უკვე გვაქვს, ხოლო მთავარ პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ უპირატესობას არაბული ძალების ხარჯზე მივიღებთ" — თქვა ს. ნანმა და დასძინა, რომ ამერიკული სამხედრო კონტინგენტი საუდის არაბეთში უკვე 100 ათასს აღემატება, — ასევე დარწმუნებული ვარ, რომ თუ დროთა განმავლობაში სამხედრო ზომების მიღება მოგვიხდა, აუცილებელია სხვა ქვეყნების მაქსიმალური მონაწილეობის უზრუნველყოფა".

● გურ

გერმანული ენის თავისებურებები

ბონი. თანამედროვე გერმანული ენა 60 მილიონამდე სიტყვას შეიცავს, იმასთან, მის თავისებურებათა გამო, სიტყვების მარაგი ყოველ ოთხ წელიწადში ერთიოროად იზრდება. ამავე დროს „საშუალოდ" გერმანელი მწერალი ან მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი იყენებს დაახლოებით 20 ათას სიტყვას, ესმის 50 ათასამდე სიტყვის მნიშვნელობა.

ასეთი შთამბეჭდავი დასკვნები გამოიტანა მრავალი წლის კვლევის შედეგად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უნივერსიტეტის მასწავლებელმა, ენათმეცნიერმა დიტერ ციმერმა. მისი მუშაობის შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალ „პრაახდინსტში", რომელსაც ბონში უშვებს გერმანული ენის საზოგადოება.

მეუნიერს საკვლევ ლექსიკურ მარაგში შეაქვს ყველა დამხმარე სიტყვა, ისეთები, როგორიც არის ზმნიზედები და კავშირები, შედგენილი სიტყვები, რომლებიც გერმანული ენის გრამატიკის თავისებურებათა გამო შეიძლება შედგებოდეს თითქმის ურიცხვი სიტყვიერი კომბინაციისაგან, აგრეთვე ყველა მეცნიერული და ტექნიკური სახელწოდება და ტერმინი.

მეორე მხრივ, აღნიშნავს დ. ციმერი, „საშუალო" გერმანელის სიტყვების მარაგი გაცილებით უფრო მწირია. იმისათვის, რომ წარმატებით დაიწიოს თავი ყოველდღიური ცხოვრების პერიპეტიებს, მისთვის საკმარისია ესმოდეს 8 ათასი სიტყვა და შეეძლოს მათთან შეხამებით კიდევ 2 ათასი სიტყვის ხმარება.

ბუნებრივია, რომ ადამიანის სიტყვების მარაგი დამოკიდებულია გერმანული ენის ამა თუ იმ მატარებლის საქმიანობის ინტელექტუალურ დონეზე. ბევრი გერმანელი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე იოლს გადის სულ რამდენიმე ასეული სიტყვით. ამასთანავე ის ვერსია, თითქოს გფრის ყოფილი კანცლერი კონრად ადენაუერი თავის „გამოსვლებში სულ 800-ოდე სიტყვას ხმარობდა, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას.

● ლიბერია

პრეზიდენტი ტყვეობაში

ნიუ-იორკი. ლიბერიის პრეზიდენტი სემუელ დოუ დაჭრილია ორივე ფეხში და დაპატიმრებულია იმ დაჯგუფების მომხრეთა მიერ, რომელსაც პრინს ჯონსონი ხელმძღვანელობს. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გადმოსცა მონროვიიდან, პ. ჯონსონის ჯარისკაცები თავს დაესხნენ ს. დოუს და მის თანმხლებ პირებს ლიბერიის დედაქალაქის ცენტრში შაბნი, როდესაც მან სახლი დატოვა და შეეცადა მოენახულებინა ლიბერიაში მშვიდობის მხარდამჭერი აფრიკული ძალების კონტინგენტის მთავარსარდალი გენერალი ირნოლდ კიანუ.

სისხლისმღვრელი შეტაკების შედეგად, რომლის დროსაც გამოიყენეს ტყვიამფრქვევები და ხელყუმბარები, დაიღუპა: სულ ცოტა 64 კაცი, მათ შორის პრეზიდენტის მცველები. დაჭრილი ს. დოუ პ. ჯონსონის დაჯგუფების ბანაკში წაიყვანეს.

პრეზიდენტის დატყვევების შემდეგ პ. ჯონსონმა თავი სახელმწიფოს მეთაურად გამოაცხადა იმ მომენტამდე, სანამ გამბიაში ამას წინათ ჩამოყალიბებული დროებითი მთავრობა მოვალეობის შესრულებას შეუდგება. ამასთან მან განაცხადა, რომ დოუმ ჩაიბარა მას თავისი უფლებამოსილება და იგი სამხედრო ტრიბუნალის წინაშე წარსდგება.

● ნიკარაგუა

სანდინისტების გაფრთხილება

მანაგუა. ეროვნული განთავისუფლების სანდინისტურმა ფრონტმა განაცხადა, რომ შესაძლოა ახალი „სოციალური აფეთქება" ნიკარაგუაში, თუ პრეზიდენტ ვიოლეტა ბარიოს და ჩამოროს მთავრობა სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ძალებთან ერთად სასწრაფოდ არ მიიღებს ქვეყნის უმძიმესი ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანისათვის აუცილებელ ზომებს. აქ გამოსვლისას სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა ბაიარდო არსემ განაცხადა, რომ „სოციალური აფეთქება" უკვე ოქტომბერში შეიძლება მოხდეს.

მან თქვა, რომ ეკონომიკური პრობლემის დაძლევისათვის რესპუბლიკას ეროვნული თანხმობა ესაჭიროება. სანდინისტური ფრონტის სახელით ბაიარდო არსემ გააკრიტიკა ხელისუფალთა პოლიტიკა, რომელიც „მიზნად ისახავს მშრომელთა მონაპოვრის ლიკვიდაციას და ხელს არ უწყობს სოციალურ სტაბილურობას ნიკარაგუაში".

თეატრი და ცხოვრება

ითქვა ქართული სიტყვა!

ქართველი ქალის დიდმა პატრიოტულმა სულისკვეთებამ გახაპირობა წლების განმავლობაში უაურადღებოდ მიტოვებულ ქვემო ქართლის მიწაზე ქართული თეატრის დაარსება.

ამ ეროვნული საქმის სულისჩამდგმელია ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესიით ინჟინერი, ქალბატონი ნანა ბოკუჩავა, რომელმაც თავისი ნაფიქრალი-ნაგრძნობი სისრულეში მოიყვანა.

იდეის გამომყვანებისთანავე მას მხარეში ამოუდგნენ დმანისის ნაქალაქევის არქეოლოგიური გათხრების ექსპედიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ჯუმბერ კოპალიანი და რაიონის მთელი თავკაცობა.

თეატრ „ქვემო ქართლის" ჩამოყალიბება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. რაიონს თავისი კულტურის სახლი არ ჰქონდა, ამიტომ მათ დმანისის რაიონის სოფელ განთიადში არსებული კლუბი სახელდახელოდ გადააკეთეს პატარა თეატრალურ შენობად. დღესდღეობით აქ უკვე შესაძლებელია სპექტაკლების გამართვა. ე. წ. წინასწარი სამუშაოების მოლვევის შემდეგ, მათ დახმარებისა და თანამშრომლობისთვის მიმართეს ქალბატონ ზინა კვერენჩხილაძეს და ბატონ გიორგი გეგეჭკორს, რომლებიც უმალ დათანხმდნენ ამ დიდ საქმეში მონაწილეობის მიღებაზე. ამ თეატრის მთავარი პრინციპი ასეთია: აქ მსახიობები და რეჟისორები მოწვეული არიან. ცალკეულ დადგმებში სხვადასხვა თეატრებიდან შეკრებილი მსახიობები მონაწილეობენ.

მიუხედავად საკმაოდ დამღლელი გზისა და დიდი დატვირთვისა, ისინი შესანიშნავად ათავსებენ და ახერხებენ ორივე თეატრში მოღვაწეობას, თუმცა ეს წინაალმდეგობების გარეშე არ ხდება. ზოგ თეატრში ხელს უწყობენ ენთუზიასტებს, რაზედაც მსახიობები წრფელ მადლობას გამოთქვამენ. დიდი დახმარება გაუწია „ქვემო ქართლის" თეატრს ბატონმა რეზო ჩხეიძემ, კულტურის სამინისტროს თითოეულმა მუშაკმა და თეატრის მოღვაწეთა კავშირმა. ამ თეატრთან თანამშრომლობას აპირებენ ბატონები გიგა ლორთქიფანიძე, თემურ ჩხეიძე, გოგი მარგველაშვილი და სხვები. მათ კარგად ესმით, რომ ამით დიდ მოქალაქეობრივ ვალს მოიხდიან.

თეატრი 1990 წლის პირმშოა, ცხრამეტ იანვარს, დიდი რელიგიური დღესასწაულის დღეს — წყალკურთხევის დღეს გაიხსნა. ასე რომ, ცხრამეტი იანვარი ქვემო ქართლში ქართული თეატრის, ქართული სიტყვის აღორძინების დღედ იქცა.

პირველივე სპექტაკლი სოფელ განთიადში მთელი სადმანისის სახალხო დღესასწაულად გადაიქცა. ეს სპექტაკლი, როგორც ჩვენი მკითხველისათვის უკვე ცნობილია, ილია ჭავჭავაძისადმი იყო მიძღვნილი.

მეორე სპექტაკლიც ილიაზე იყო — პოეტის მკვლელობაზე — „ილია ვარ!" (ეს დრამა დოკუმენტური მასალების მიხედვით შექმნა დრამატურგმა თამაზ გოდერძიშვილმა). ორივე სპექტაკლის რეჟისურა თემურ ჩხეიძეს ეკუთვნის, რომლის ერთგული თანაშემწეა ქალბატონი ზინა და ორივე სპექტაკლში მონაწილეობს. „ქვემო ქართლის" თეატრის სცენაზე ახლახანს მესამე პრემიერა შედგა — ავქსენტი ცაგარლის ვოდევილი „ჭკუისა მჭირს". ამ სახალხო სპექტაკლის რეჟისორია ახალგაზრდა ხელოვანი ოთარ ეგაძე, კომპოზიტორი ნინო ჯანჯღავა, მხატვარი — უშანგი იმერლიშვილი.

აი რა გვითხრა ამ სპექტაკლის შესახებ ქ-ნმა ზინა კვერენჩხილაძემ. ამ სპექტაკლში მონაწილეობენ ვოდევილურ ყანრში მიეცათ საშუალება აქტიორული პოტენციის გამოვლენისა, მათი დაფარული შესაძლებლობების გამოქეყვნებისა, ჩემთვის აღმოჩენაა ამ სპექტაკლში აკაკი ხიდაშელი და გოგი თურქიაშვილი. ასე მოულოდნელად შეიქმნა შესანიშნავი დუეტი, რომელმაც მაყურებელი ესოდენ გაახარა.

ამ სპექტაკლში ბატონი გოგი გეგეკკორი (ბოქაული) ჩვეული ბრწყინვალებით მოვლენა დმანისელებს, რომელნიც დიდ პატივს და სიყვარულს უბრუნებენ სანაცვლოდ.

აღსანიშნავია ახალგაზრდა მსახიობი ხათუნა ბოკუჩავას თამაში. სრულიად გამოუცდელია, ვოდევილი კი ძალიან საზიფათო ყანრია, დიდ ტაქტს და ზომიერებას მოითხოვს მსახიობისაგან. ხათუნას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ღირსეულად გაართვა თავი ამ სახიფათო ამოცანას — მისი კეკლუცი და ლამაზი ტასიკო ერთ-ერთი დასამახსოვრებელი სახეა. ხათუნამ პირველი ნაბიჯები რუსთაველის თეატრის სცენაზე გადადგა — ეს მისი საყვარელი თეატრია, მაგრამ უპირატესობას დმანისის თეატრს ანიჭებს, რადგან იცის, რომ აქ ქართული სიტყვა უფრო საჭიროა.

ამავე სპექტაკლში მონაწილეობს სცენისმოყვარე შიო გელენიძე, რომელმაც ერთობ კოლორიტული სახე შესძინა სპექტაკლს (გადამწერი). ახლა ყველა თეატრში ახალი სეზონის წინა სამზადისია, საინტერესოა „ქვემო ქართლის" სამომავლო გეგმებიც, რაზეც გვესაუბრა ქალბატონი ნანა ბოკუჩავა: — გეგმაში გვაქვს ქართული კლასიკა, დავდგამთ დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირს", გამოვეხმაურებით აკაკი წერეთლის საიუბილეო ღღეებს. გვინდა განვახორციელოთ ვ. კოტეტიშვილის ხალხურ პოეზიაზე აგებული ლიტერატურული კომპოზიცია. მონარული ვიქნები, თუ რომელიმე მწერალი მოისურვებს საგანგებოდ ჩვენთვის შექმნას პიესა თანამედროვე თემაზე.

დიდი იმედით მოველით მხარდაჭერას რეჟისორებისაგან, მსახიობებისაგან, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეთაგან და საერთოდ, ერის ბედით დაინტერესებული ადამიანებისაგან.

დმანისის რაიონში ქართული თეატრის მიბაძვით ბევრი სასაკეთო საქმე გაკეთდა.

მუგალნო და საათლო (დღესდღეობით გუგუთი) აზერბაიჯანული სოფლები იყო. წელს ამ სოფლებიდან აზერბაიჯანელი მოსახლეობა სხვაგან გადასახლდა, სანაცვლოდ ჩასახლდნენ აჭარიდან, თბილისიდან ჩამოსულები, აგრეთვე სოფელ განთიადიდან 12 ახალგაზრდა ოჯახი. ამ დღეებში სოფელში გაიმართა პირველი ქართული ქორწილი.

რაიონში სასიკეთო ღონისძიებები იმართება. რაც შეეხება უშუალოდ თეატრს, ბევრი ორგანიზაცია შეგვპირდა თანხის გადმორიცხვას, ჯერჯერობით კი არაფერი არ ჩანს, თუმცა ანგარიშის ნომერი გამოცხადებული იყო გაზეთ „ქართულ ფილმში". ამიტომ ვიმეორებთ დმანისის რაიონის აგრომრეწვებანკის ანგარიშის ნომერს: 36401. ეს საერთო და საჭირო საქმეა.

ნონა კევლიშვილი.

ხათუნა. დავით იაკობაშვილის ფოტო.

ფერწერა მისი გატაცებაა

საზოგადოება „საქართველო-იტალიის" სამუშაო პროგრამა სხვა საკითხებთან ერთად ორი ქვეყნის თანამედროვე ხელოვნების ერთმანეთისთვის გაცნობაცა და დაახლოებასაც ითვალისწინებს. ამ მხრივ პირველი კონკრეტული საქმეა იტალიელი მხატვრის მარკო კაშელას ნამუშევრების გაცნობა თბილისში, რომელიც სულ ახლახან გამოფენილი იყო „თეთრ გალერეაში" (ოსტავის ქ. 47).

ვერნისაჟზე საზოგადოებრიობის წინაშე თვით მხატვარი წარსდგა. მან ქმაყოფილებით აღნიშნა, რომ მისი გამოფენა საშობაოს გარეთ, პირველად თბილისში მოეწყო. მარკო კაშელა პროფესიითა ექიმია, მხატვრობა მისი მეორე ხელობაა, მაგრამ, როგორც თვითონ ფიქრობს, ხაბოლოოდ ეს უკანასკნელი გაუძლებენს. იგი ათი წელია ხატვამ გაიტაცა. ამ ხნის მანძილზე მრავალი ნამუშევარი დუგროვდა. მხატვარი ამჯერად ცამეტი ტილოთი წარმოდგა თბილისელი დამთვალიერებლის წინაშე. ცამეტსავე ანსტრაქტულ ფერწერულ ნიმუშს ერთიანი გაგნწყობილება გამოარჩევს, გეომეტრიული ფორმები თითქოს ცისფერ სივრცეშია დანთქმული. საერთო ფერწერული „მატერია" დინამიკურ, კინემატოგრაფიული ეფექტის მსგავს შთაბეჭდილებას ახდენს. თითქოს კინოკამერას მიპყვება ჩვენი მზერა. მხატვარი მინიმალური საშუალებებით ახერხებს განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობის გადმოცემას.



მარკო კაშელას ნამუშევრები მოწმობს მის მხატვრულ ერუდიციას და კულტურას. ძნელი დასაჯერებელია, თითქოს ეს თანამედროვე იტალიური ფერწერის დღევანდელი სახე იყოს. ეს შეუძლებელიცაა, — ჩვენ ხომ მოყვარული მხატვრის ოპუსებს გავეცანით. იმედია, საზოგადოება „საქართველო-იტალიის" მესვეურები სამომავლოდ გაგვაცნობენ პროფესიონალთა შემოქმედებას, იმათ, ვინც იტალიის თანამედროვე მხატვრულ პროცესში მკაფიო კვალს ტოვებენ.

გიორგი ლალიაშვილი.

✦✦

ხურათებზე: მარკო კაშელა და მისი ერთ-ერთი კომპოზიცია.
თედო ნიკოლაიშვილის ფოტო.

ქართული სკოლა არბატზე

მოსკოვი. (**საქინფორმის სპეც. კორ. დევი ბერძენიშვილი**). ქართულად მიუღიცეს ახალი სასწავლო წლის დაწყება მოსკოვის №1233 საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებს. აქ, სსრ კავშირის დედაქალაქში პირველად, სწავლება ქართულ ენაზე იქნება.

ეს ამბავი შორშან დაიწყო: არბატის გვერდით, სივცევ ვრაჟეკის ქუჩისა და სტაროკონიუშენის შესახვევის კუთხეში მდებარე მეთერთმეტე საბავშვო ბაღის დირექტორმა ანა კერესელიძემ დაიწყო მოღვაწეობა სპეციალური ქართული ჯგუფების ჩამოყალიბებისათვის. მას მხარი დაუჭირეს საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროში, მოსკოვში ჩვენი რესპუბლიკის მუდმივ წარმომადგენლობაში, გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ინსტიტუტში, რომლის თანამშრომლებმა იკისრეს მეთოდიკური დახმარების გაწევა ამ თაოსნობისათვის. დოდო კერესელიძეს თანამოაზრეებიც გამოუჩნდნენ მოსკოვის კიევის რაიონის ხელმძღვანელთა შორისაც. საკითხი დადებითად გადაწყდა. და აი, ახლა საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის შარშანდელმა აღზრდილებმა — ასეთი კი ოცდაშვიდი ბავშვია — შეადგინეს ქართული კლასი.

ძირითადად ესენი ქართული და შერეული ოჯახების შვილები არიან. მაგრამ ახალ კლასში მარტო ისინი როდი ისწავლიან! მოსკოვის ერთ-ერთი სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მმართველმა ალექსანდრე სუზანოვმა აქ თავისი შვილიშვილი მაშა მოიყვანა. აქ დაიწყეს სწავლა კატია უსტინოვამ, სერიოჟა პულაევმა, რომელთა მშობლების ბაბრაოშვილის ქუჩის საკანალიზაციო კოლექტორის ქვეშ. გვირაბის მშენებლობას აწარმოებს თბილისის გვირაბმშენებლობა. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა სხვა სტუმრებთან ერთად მათ მიუღიცეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა. დეკანოზმა, მამა დავით დათუაშვილმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის დავალებით დალოცა შენობა. საქართველოს საპატრიარქოსაგან კლასსა და საბავშვო ბაღს გადასცეს წმინდა გიორგის ხატი და სასულიერო ლიტერატურა.

შემდეგ კი მასწავლებლებმა — თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის მეთოდისტებმა ნანა ვადაკკორიამ და ეთერ კანდელაკმა კლასში ჩაატარეს პირველი გაკვეთილი. ორი კვირის განმავლობაში ისინი იმუშავებენ აქ, პირველ ხანებში დაეხმარებიან მოსკოვში პირველ ქართველ მასწავლებელს, გორკის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტს მარინე კობერიძეს.

— კარგ საქმეს მიეცა დასაბამი, — გვითხრა გამომშვიდობებისას დოდო (ანა) კერესელიძემ, — მაგრამ ჯერ მრავალი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. ჩვენ ხომ ამ ბაზაზე ქართული ლიცეუმის შექმნას ვაპირებთ. დიდი იმედი გვაქვს, რომ საქართველოდან დაგვეხმარება ყველა, ვისაც აწუხებს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა ბედი.

ხათუნა. დავით იაკობაშვილის ფოტო.

სპორტი

დროის მცირე მონაკვეთში

ფოთში რეგულარულად იმართება წყალსათხილამურო სპორტში ევროპის ჩემპიონატისათვის მზადების საქალაქო შტაბის სხდომები. რა დასამალია, დრო ცოტაღა დარჩა — მხოლოდ ერთი წელიწადი, შესასრულებელი სამუშაოები კი მეტად მრომატევადია და ყველა შესაძლებლობა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

ახლახან გამართულ შტაბის მორიგ სხდომაზე, რომელსაც ფოთის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე გ. კუბალეიშვილი თავმჯდომარეობდა, განიხილეს მეტად მნიშვნელოვანი საკითხები.

თავდაპირველად საგზაო-სარემონტო სამმართველოს უფროსმა ა. ლაშხიამ გააცხო შტაბის წევრებს შესრულებული სამუშაოები და სამომავლო ამოცანებზეც ილაპარაკა.

სად და რა პირობებში დავიბინავებთ უცხოელ სპორტსმენებსა და სტუმრებს? ეს ხომ ერთერთი მთავარი საკითხია. უკვე მიმდინარეობს სასტუმრო „ფაზისის" რეკონსტრუქციისა და „საქგეოლოგიის" პიონერთა ბანაკ „მალთაყვის" სასტუმროდ გადაკეთება, კეთილმოწყობა სასტუმრო „აიეტიც"; მზადდება ტურბაზის კაპიტალური შენობები 350 უცხოელი-ტურისტის მისაღებად. ავტოკემპინგისთვის შერჩეულია ტერიტორია, ხოლო ტრესტმა „ფოთმშენმა" სამირკელი ჩაუყარა ასპარეზობის სპონსორი ორგანიზაციის — ფოთის ჩაის კომბინატის — დასასვენებელ ბაზასა და სასტუმროს სასადილოს, შენდება კოტეჯები...

მოსაგვარებელია ასპარეზობის ტელეტრანსლიაციის საკითხი, როგორც ფოთის ტერიტორიულ-დარგთაშორისი გაერთიანების უფროსმა ვ. ტიხოვმა თქვა, ჩამოტანილია ტელეანძა და სათანადო აპარატურა, რომლის დამონტაჟებისთვისაც ქალაქის მსხვილმა საწარმო-დაწესებულებებმა დროულად უნდა გადარიცხონ თანხები.

დღეს სპორტული ბაზის ტერიტორიაზე უკვე მზად არის გაერთიანება „საქთვეზმრეწვის" მიერ აშენებული მაყურებელთა ტრიბუნა, სპორტდარბაზი და საცურაო აუზი, იქვე არსებული პლაჟი კი აშკარად ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. აი, რა თქვეს მათ:

ვიქტორ ივანახიანი — წყალსათხილამურო სპორტის საკავშირო ფედერაციის თავმჯდომარე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი: — ეს პრესტიჟული ასპარეზობა პოლიტიკური ნასიათის ღონისძიებაც. გზლავთ. იგი ხალხთა დაახლოების, დამეგობრების ეფექტიანი საშუალებაა. ჩემპიონატის ორგანიზებულად ჩატარების შეფთხვევაში დამსახურებული პატივი მიეგება ფოთსა და სრულიად საქართველოს...

დავით პერტენავა — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სპორტისა და ტურიზმის განყოფილების გამგე: — სპორტულ ბაზას ისეთი პირი უჩანს, სამომავლოდ აქ ოლიმპიური ასპარეზობის ჩატარებაც კი იქნება შესაძლებელი. მანამდე კი დაუცხრომელი მუშაობა გვმართებს, რომ ღირსეულად გავუმასპინძლდეთ სპორტსმენებსა და სტუმრებს.

შალვა პაპაძე — წყალსათხილამურო სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე: — დიდ საქმეს შეეჭიდნენ საქალაქო შტაბი, სპონსორები, მათი მხარდამჭერი საწარმოები და ორგანიზაციები.

ჩემპიონატის დღეებში საშუალება გვექნება უკეთ გავაცნოთ თავი ევროპელ სტუმრებს. ამიტომ კულტურულ პროგრამაში რაც შეიძლება მეტად უნდა წარმოვაჩინოთ ჩვენი სამდერები და ცეკვები, სპორტული თამაშობანი, არც ქართული სამზარეულო უნდა დაგვავიწყდეს.

დრო საშურია. თითქმის შეუძლებელი უნდა შევძლოთ, რომ ჩემპიონატი უზადოდ ჩატარდეს.

კუკური ესაკია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

პროგრამა

საკითხი დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს

რამდენიმე წლის წინათ რუსთავში წყალდიდობამ ერთიანად გაანადგურა მდინარე მტკვარზე ნაგები კაშხალი, შეიზღუდა თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის წყლით მომარაგება. საჭირო გახდა ახალი წყალმდენის მშენებლობა. იგი სწორედ თბილსრესის დაკვეთით დაიწყო. პროექტით მისი ნაწილი გაივლის ბარათაშვილის ქუჩის საკანალიზაციო კოლექტორის ქვეშ. გვირაბის მშენებლობას აწარმოებს თბილისის საგვირაბო მშენებლობის სამმართველო „თბილისის გვირაბმშენი".

გვირაბის მშენებლობის პერიოდში ხუთჯერ ჩაინგრა ქუჩის საფარი, რასაც მოჰყვა ადამიანის მსხვერპლი, მომიჯნავე სახლებში კედლები დაიბზარა, აღნიშნულზე შეიქმნა ავტორიტეტული კომისიების სათანადო აქტები. რაც მთავარია, არსებობს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ჯ. ზავრიევის სახელობის სამშენებლო მექანიკის და სეისმომდგრადობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივის დასკვნა, რომ მომავალში გვირაბი მოსალოდნელია გახდეს გარშემო წარმოქმნილი წყლების წყაროების მიზიდულობის ადგილად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ზედაპირის შემდგომი დეფორმაციები. არსებობს აგრეთვე რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ საეჭვოა მშენებარე წყალმდენიდან საქართველოს ყველა კუთხიდან. ცხადდება კონკურსი აგრეთვე ბავშვთა სიმღერისა და ცეკვის სახლმბლ „მომავალში" მისაღებად. მონაწილეობას მიიღებენ 7-დან 14 წლამდე გოგონები და ჭაბუკები, რომელთა საუკეთესო ნაწილს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლში მიიღებენ.

გადაცდებები მიიღება 10-დან 5 საათამდე, დღიდან გამოცხადებისა. კონკურსი 19-20-21 ოქტომბერს გაიმართება.

მისამართი: დავით აღმაშენებლის გამზირი 68, მე-4 სართული, ტელ.: 95-48-57.

ანსამბლის დირექცია.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული აკადემიური ანსამბლი აცხადებს კონკურსს დამატებით მიღებაზე. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ მომღერალ და მოცეკვავე ვაჟებს, მეგრული სიმღერების შემსრულებელ ქალებს საქართველოს ყველა კუთხიდან.

საქართველოს-თურქეთის საქმიანი ურთიერთობის რესპუბლიკური ასოციაციის დამფუძნებელი კრების დელეგატთა საყურადღებოდ!

ასოციაციის დამფუძნებელი კრება გაიმართება 14 სექტემბერს, დილის 11 საათზე საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კულტურის სასახლეში (ეკაა-ფშაველას გამზირი 43, მეტროს სადგური „დელისი").

დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, 13 სექტემბერს, დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე, ხოლო 14 სექტემბერს — დილის 9 საათიდან 10.30 საათამდე.

გასწორება

„კომუნისტის" წლევანდელი 6 სექტემბრის ნომერში, პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში — „საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობა" — რედაქციისაგან დამოუკიდებელი მიზეზით გაპარულია შეცდომა. სახელდობრ: აღნიშნული მასალის მეორე სვეტის მე-5 აბზაცში, სიტყვა სოციალისტურის ნაცვლად უნდა იყოს — სოციალური.

რედაქტორი
მინდია უგრეხელიძე.

ტელევიზია — სამშაბათი, 11 სექტემბერი

ᲗᲘᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 13.00 — ნაშუადღევს. 13.50 — ათლეტიკი. 15.50 — საინფორმაციო გადაცემა. 16.00 — მოსწავლეთა არდადეგების გამო — სატელევიზიო კიდოდარბაზი „ცისკარა". პუბლიცისტიკა „ჯადოსნური ტყე". 17.25 — საერთაშორისო დღიური (გამეორება). 18.00 — „თვალსაწიერი". სატელევიზიო ჟურნალი უფროსკლასელთათვის. 18.45 — პროფგანათლების მომავალი. 19.00 — რა განძი გვქონია? 19.45 — ძილისპირული. 20.00 — მოამბე. 20.35 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი — „ნუ მოიწყენთ შემოდგომისას". 21.00 — „ვრემია". 21.40 — სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მოგზაურობა მესხეთ-ჯავახეთში. 22.20 — „ხელოვანი და დრო". დიალოგი რეზო თაბუკაშვილთან. 24.00 — საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში.

მეორე პროგრამა. 16.00 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „კომენტარი შეწყალების თხოვნაზე". 18.10 — დოკუმენტური ფილმების ეკრანი. 19.05 — 21.40 — საქართველოს ტელევიზიის პირველი პროგრამის გამეორება. 21.40 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „დაცულია სახელმწიფოს მიერ" (პირველი ჩვენება).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 6.30 — „120 წუთი". 8.30 — ტ. უილიამსი. „კატა გახურებულ სახურავზე". სპექტაკლი. 11.25 — ბავშვის საათი. 12.25 — კოლაჟი. 12.30, 18.30 — „ვრემია". 17.00, 0.30 — ახალი ამბების სატელევიზიო სამსახური. 17.15 — დოკუმენტური ტელეფილმის პრემიერა. 17.40 — ფილმ-კონცერტი. 19.00 — ძალაუფლება — საბჭოებს! 19.30 — მულტფილმი. 19.40 — აქტუალური ინტერვიუ. 19.50 — „მონა იზაურა". II სერია. 21.00 — „ვრემია". 21.40 — „სიტყვა". 23.40 — ბ. ჩაიკოვსკი — „მოზარდი".

მეორე პროგრამა. 8.15 — „კინომოგზაურთა ალმანახი". 8.35, 9.35 — გარესამყარო. II კლასი. 8.55, 9.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.05, 10.05 — ფრანგული ენა. 10.35, 11.